645
1982/3



# საქართველოს ქალი

3
1982

ISSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარდამავალი წითელი დროშა — ზედიზედ მეცხრედ!



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. მარჩუკი საკავშირო გარდამავალ წითელ დროშას გადასცემს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს.

გ. ვახტანგაძისა და ს. ჯანიაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



17486



# სსრ კავშირის ქალთა კომიტეტი 40 წლისაა

1981 წლის 7 სექტემბერს სსრ კავშირის ქალთა კომიტეტს 40 წელი შეუსრულდა. თავის სიტყვაში კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ თქვა:

კომიტეტის ისტორიის ორმოცი წელი მშვიდობისათვის, ხალხთა სოლიდარობისა და მეგობრობისათვის, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა ქალების დაუცხრომელი ბრძოლის წლებია.

მთელი ორმოცი წლის მანძილზე სსრ კავშირის ქალთა კომიტეტი იყო და არის თავისი ფიცის ერთგული, რადგან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა თავის ძირითად ამოცანად მიაჩნია.

კომიტეტს მეგობრული კონტაქტები აქვს დამყარებული 120-ზე მეტი ქვეყნის ეროვნულ ორგანიზაციასთან, აქტიურად თანამშრომლობს ბევრ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციასთან.

ამ წლების მანძილზე გაიზარდა კომიტეტის საერთაშორისო კავშირურთიერთობა, გაძლიერდა მისი ავტორიტეტი ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში, საბჭოთა ქალებმა დიდი წვლილი შეიტანეს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხმა იცის ომის საშინელება, ეს იცის ომის წლებგამოვლილმა თაობამ, იცის ახალგაზრდობამ, ომგადახდილთა შვილებმა და შვილიშვილებმა. ვინც ფაშიზმზე გამარჯვება მოიპოვა, ვინც სამშობლოსათვის სიცოცხლე გაწირა, მათი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ადამიანთა გულებში.

და დღეს, როცა მსოფლიოში ვითარება სულ უფრო მძაფრდება, საბჭოთა ქალები, ისევე როგორც სხვა ქვეყნების მილიონობით ქალი, ცდილობენ თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ გამალებული შეიარაღებისა და, უწინარეს ყოვლისა, თერმობირთვული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს წევრი სხვა ქვეყნების მილიტარისტული წრეების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც ცდილობს კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის მიჯნაზე დააყენოს.

საერთაშორისო პროგრესული ძალები, კერძოდ, ქალთა საზოგადოებრიობა მხურვალედ გამოეხმაურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას — „მსოფლიოს პარლამენტებსა და ხალხებს".

საბჭოთა ქალების ხმა მშვიდობის დასაცავად, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის გაისმოდა სოფიაში — მშვიდობისათვის ხალხთა მსოფლიო პარლამენტის ტრიბუნიდან, ჟენევაში — ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონალურ კონფერენციაზე. კოპენჰაგენში — საზოგადოებრივი ძალების ფორუმზე, სხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ღონისძიებებზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით საბჭოთა ქალებმა შარშან ფართოდ აღნიშნეს განიარაღებისათვის ქალთა ბრძოლის საერთაშორისო დღე (25 ოქტომბერი), აქტიური მონაწილეობა მიიღეს მასობრივ ანტისაომარ გამოსვლებში (22 ივნისს).

ჩვენი ქვეყნის ქალები მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVI ყრილობაზე წამოყენებულ 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამას, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს ყველა შემდგომ სამშვიდობო ინიციატივას. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, არ დაუშვან რომ მოხდეს გამოუსწორებელი რამ, ყოველი ღონე იხმარონ, რათა შეინარჩუნონ მშვიდობა.

კომიტეტი სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათ-



კ. მარქსის სახ. ს. სსრ სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის, დიქტატორული და ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ, რასიზმის, აპარტეიდისა და სხვა ფორმების, ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლასთან სოლიდარობის კამპანიებში.

კომიტეტი დახმარებას უწევს აფრიკისა და აზიის ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების ქალთა ორგანიზაციებს, რომლებიც სძლევენ კოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობას, უწიგნურობას, სიღატაკეს, დაავადებებს. საბჭოთა ქალები უზიარებენ მათ უწიგნურობის ლიკვიდაციის დარგში შეძენილ გამოცდილებას, ხელს უწყობენ ქალთა და ბავშვთა სოციალური ცენტრების შექმნასა და აღჭურვაში.

ამ ქვეყნების ქალთა ორგანიზაციები დიდად აფასებენ კომიტეტის დახმარებას ეროვნული კადრების მომზადებაში. დღეს სსრ კავშირში კომიტეტის სტიპენდიებით სწავლობს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 59 ქვეყნის 800 ქალიშვილი. დიდ კმაყოფილებასა და სიამაყის გრძნობას გვგვრის ის ამბავი, რომ დიპლომის მიღების შემდეგ ისინი წარმატებით მუშაობენ ექიმებად, მასწავლებლებად, იურისტებად, აგრონომებად, ინჟინრებად და სარგებლობა მოაქვთ თავიანთი ხალხის, თავიანთი სამშობლოსათვის.

კომიტეტი საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მშვიდობის ფონდში შემოსული ნებაყოფლობითი შენატანები ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლაში საბჭოთა ქალების სოლიდარობის კონკრეტული გამოვლინებაა.

სსრ კავშირის ქალთა კომიტეტი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ყურადღებას უთმობს იმ პრობლემებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მსვლელობაში წარმოიშობა.

კომიტეტი, რომელსაც, ისევე როგორც სხვა საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მინიჭებული აქვს სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებული საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მონაწილეობს საბჭოთა ქალების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე კანონმდებლობათა შემუშავებაში, მაგალითად, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის, შრომისა და განათლების შესახებ კანონთა პროექტების, 1977 წელს მიღებული სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის, სკკპ XXVI ყრილობაზე მიღებული მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალური პროგრამის მომზადებაში.

კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის მუდმივ კომისიებთან, პროფკავშირების ქალთა კომისიებთან.

კომიტეტი ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის ქალებისგან ასი ათასზე მეტ წერილს იღებს, აანალიზებს და განაზოგადებს წერილებში ჩამოყალიბებულ საკითხებს და შემდეგ თავისი წინადადებები შეაქვს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში განსახილველად.

საბჭოთა ქალების თვალსაჩინო დამსახურება კომუნისტურ მშენებლობაში, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობაში, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში მათი დიდმნიშვნელოვანი როლი დიდად შეაფასეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. 1974 წელს კომიტეტს ხალხთა მეგობრობის ორდენი გადაეცა. კომიტეტის დროშაზე ეს ორდენი ჩვენი ქვეყნის თითოეულ მშრომელ ქალს ეკუთვნის.

სსრ კავშირის ქალთა კომიტეტის მე-40 წლისთავზე, ნება მიბოძეთ, ჩვენი ქვეყნის ყველა ქალის სახელით აღვუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, რომ საბჭოთა ქალები ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების უზრუნველყოფაში, მშვიდობის დაცვაში, დიადი კომუნისტური იდეალების გამარჯვებაში.

იბეჭდება შემოკლებით

## მაღლა და მაღლა

მაღლა და მაღლა, მაღლა და მაღლა,
გულო გაუსწარ დროსა,
მოვალ და მანდილს მოვაფრიალებ,
როგორც სიწმინდის დროშას.
მაღლა და მაღლა, მაღლა და მაღლა
უფრო მეტი წვა ახლა,
ახალ-ახალი სიმაღლეები,
მაღლა, სულ უფრო მაღლა!
გადააბიჯეს დროსა და უფსკრულს
არსად არასდროს დაღლა,
მზეს საქართველო აუწევია,
აუწევია მაღლა.
. . . .
მაღლა და მაღლა, მაღლა და მაღლა!

## რწმენა

რწმენამ ააგო სვეტიცხოველი,
რწმენამ ასტყორცნა ცაში რაკეტა,
რწმენით მოვიდა დღემდე სიკეთე:
რაც რამ კარგია, —
რწმენამ აკეთა!
რწმენამ დაგვიცვა,
რწმენამ გვაბრძოლა,
უიმედობა არ გაგვაკარა,
რწმენამ დაგვიცვა სვავთა ბუდისგან,
რწმენამ გვარგუნა წყარო ანკარა!
რწმენით შევხარით დიად მომავალს,
რწმენამ გაიდგა ფესვი მრავალი.
რწმენა გვინათებს,
რწმენა გვამაღლებს,
რწმენით ბრწყინდება გზა მომავალის.

## ქალების ლამაზი, პატარა თითები

ქალების შრომითაც წინ მიდის ცხოვრება,
ოჯახი მშვენდება,
ქვეყანა ირთვება,
რა სასწაულია, რა საოცრებაა,
ქალების ლამაზი, პატარა თითები!..
ამ თითებს უშრეტი ძალა და მადლი აქვთ,
სამშობლოვ, ამ მადლით მძლავრობ და
ბრწყინდები,
პატარა თითები მზის სხივთა დარია, —
ქალების ლამაზი, პატარა თითები!

მერი ვალაშვილი

# ლაპარაკობენ საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატები



თუ საახალწლო მეკვლეობაზე ჩამოვარდება სიტყვა, მაშინ იმაზე უფრო საბედნიეროსა და შესანიშნავს, მამაშვილურად გულში ჩამწვდომს ვინ ინატრებს საახალწლოდ საქართველოს ახალგაზრდებს რომ გვერგო თქვენგან ძვირფასო ედუარდ ამბროსის ძევ!

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციებშიაც განიხილეს ეს სიტყვა და რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების მილოცვა — მიმართვა საქართველოს ქალიშვილებისა და ჭაბუკებისადმი და გადაწყვიტეს რომ ერთმანეთს პატაკები ჩავაბაროთ არა მარტო შრომითი მაჩვენებლების, არამედ ქორწილების, ძეობების, ჩვენი ოჯახების განმტკიცების მაჩვენებლებითაც.

**ცისანა თალაკვაძე,**
მახარაძელი მეჩაიე-მექანიზატორი, საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატი.



ჩვენ ვეთანხმებით და გულთან ახლოს მიგვაქვს ტრადიციულ საახალწლო შეხვედრაზე ქართველი ახალგაზრდობის დიდი მეგობრის ე. ა. შევარდნაძის სიტყვები:

„შეეჯიბრეთ ერთმანეთს სწავლასა და შრომაში, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მეცნიერების წინ წაწევაში, შეეჯიბრეთ ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, სიკეთის თესვაში, ბოროტების დათრგუნვაში, შეეჯიბრეთ კომუნიზმის ერთგულებაში, სამშობლოსათვის თავდადებაში.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს აკვანთა სიმრავლეში, ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდაში“.

სამწუხაროდ, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობას ყოველთვის არა აქვს საშუალება ყურადღებით მოეკიდოს ახალგაზრდა სტუდენტურ ოჯახებს. თუმცა, ცნობილია, რომ სწორედ ამ ასაკში იქმნება მეტწილად ოჯახები და მათ განსაკუთრებული ყურადღება, სითბო და პრაქტიკული დახმარება სჭირდებათ.

იქნებ, სტუდენტთა ქალაქში აშენდეს სპეციალური კორპუსი ახალგაზრდა ოჯახებისათვის! უფრო მეტიც, შეიქმნას სპეციალური საბავშვო ოთახები, სადაც ახალგაზრდა დედებს საშუალება ექნებათ დატოვონ თავიანთი ბავშვები და წყნარად დაესწრონ ლექცია-სემინარებს.

თუ ეს გაკეთდება, დიდი შეღავათი იქნება ახალგაზრდა დედებისათვის. მათ კი აბა რა გააჩნიათ შვილზე უსაყვარლესი და უპირველესი!

**ლელა ანჯაფარიძე,**
თბილისის სახ. უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი, საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობის დელეგატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი



ეს ქუჩა არაფრით განსხვავდება თელავის სხვა ქუჩებისაგან, მაგრამ ფართოაივნიან, მაღალ საცხოვრებელ ბინებს შორის გამოირჩევა ერთი დაბალი ძველი სახლი, ასევე ძველი ხის მესერით შემოღობილი ეზო-ყორეთი. აქ ცხოვრობს ოლია გეურქოვა-თუმანიშვილისა, ოთხმოც წელს გადაცილებული კომუნისტი.

1919 წლის მიწურულში, ცხრამეტი წლის ქალიშვილი, თავისივე მეზობლის სიმონ კარჭაულის რეკომენდაციით რსდმპ ბოლშევიკების თელავის მაზრის არალეგარულ ორგანიზაციას დაუკავშირდა. ის დღე იყო და ის დღე... ოლია გეურქოვა მთელს მაზრაში პირველი ბოლშევიკი ქალი და ორგანიზაციის მარჯვენა ხელი გახდა.

შვიდი წლისაც არ იყო, მამა რომ გარდაეცვალა. დედა მდიდარ ოჯახებში დადიოდა საკერავით და ორიოდე გროშის ფასად ტეხდა ღამეებს. მარტო მათ წვრილშვილიან ოჯახს კი არა, მთელ ქვეყანას უჭირდა ლუკმა-პურის შოვნა. დაიმშა ხალხი. ქვეყანას განადგურებას უქადდნენ მენშევიკები. საჭირო იყო მოქმედება.

ოლიამ პირველი დავალება, პროკლამაციების გავრცელება წარმატებით შეასრულა. ამას მოჰყვა სხვა უფრო ძნელი და პასუხსაგები დავალებები. კრებები, აკრძალული ლიტერატურის გავრცელება და სხვა. ერთხელ, მაზრის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარის სამსონ ცინცაბაძის ასეთი შინაარსის წერილი გადასცეს: „მე დამაკავეს. სოფელ გავაზში წასაღები ლიტერატურა პოლიციაშია. შეატყობინე ვანო მოსიაშვილს (ბიუროს წევრი იყო) — და ეცადეთ უკან დაიბრუნოთ". ლიტერატურა დააბრუნეს.

რეპრესიები კარგახნის დაწყებული იყო. დაპატიმრებულნი იყვნენ ბიუროს წევრები. დღეს თუ ხვალ იგივე ელოდა ოლიასაც. ამ დროს იგი ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი და ხაზინადარი იყო. მან ოქმების, საქმიანი ქაღალდების და სხვა აკრძალული ლიტერატურის გადამალვა მოასწრო,

მაგრამ საწერი მაგიდის უჯრაში, დროშისათვის ნაყიდი წითელი ქსოვილი და „რანი არიან ხალხის მეგობრები“ კი აღმოუჩინეს. — „ამით გინდათ აღზარდოთ ახალგაზრდობა?“ — ჰაერი გაკვეთა მაზრის პოლიციის უფროსის ხმამ.

რაკი თელავის ციხეში ქალთა განყოფილება არ აღმოჩნდა, ოლია გეურქოვა თბილისში — „გუბერსკის“ ციხეში გაგზავნეს. საკანში მას კამოს მეუღლე შუშანა და სიკვდილმისჯილი ლიზა არჩვაძე დახვდნენ.

ქუჩებში ბრძოლები მიმდინარეობდა. თებერვლის მიწურულამდის ისმოდა სროლის ხმა. ციხის კედლებს სულ ზანზარი გაუდიოდა. ერთხელ, მათი საკანის წინ, მეორე სართულიდან სიფრიფანა ქაღალდი ჩამოვარდა, თელავის პარტიული ბიუროს წევრების ცინცაბაძის, ბაკურაძისა და მაზანაშვილის ხელმოწერით: „ყოჩაღად იყავით, ჩვენც აქა ვართ.“ სიმონ კარჭაულიც დაეპატიმრებინათ ყვარელში.

იმ საღამოს ციხის უფროსის განცხადება მოისმინეს: ნაბრძანები გვაქვს მეტეხის პოლიტპატიმართა ეტაპს შეგიერთოთო.

ელოდნენ დილას. ციხის ეზო გვარდიელებით გაივსო. თელაველი ტუსაღები შეუერთდნენ მეტეხელ პატიმრებს. ამ არეულდარეულობაში გვარდიელებს თვალსა და ხელს შუა დაუძვრა ერთი მეტეხელი პატიმარი. შემდეგ გაიგო ოლიამ, რომ ის გაპარული პოეტ ია ეკალაძის და ყოფილიყო.

მეტეხელი პატიმრებიდან ოლიას ყურადღება ორმა პიროვნებამ მიიპყრო.. ერთი ივანოვი აღმოჩნდა გვარად, მეორე — პავლოვი. ფეხზე ბორკილდადებულნი, ახოვანნი, წელში გამართულნი და მკერდგაშლილნი მიაბიჯებდნენ. ივანოვი ნამდვილი ადამიანი იყო. — იგონებს ქალბატონი ოლია, — როცა პატიმრები ერთ გაბინძურებულ ვაგონში შეგვყარეს და ქუთაისის გზას გაგვიყენეს, იგი წამოდგა ფეხზე, ყველას გამოგვკითხა ვინაობა და როცა გაგვეცნო, „ინტერნაციონალი“ წამოიწყო. ორი დღის დამქანცველი მგზავრობის შემდეგ სულ ასე სიმღერით ჩავედით ქუთაისში, მშივრები და მწყურვალები.

ნათქვამია, შემოდგომის ბუზი მწარედ იკბინებაო. მენშევიკები აღარაფერს ერიდებოდნენ. ზოგჯერ პირდაპირ ციხის დერეფნებში ატეხდნენ ხოლმე სროლას. გავიგეთ, პატიმართა ახალი ეშელონი უნდა გაეყვანათ ბათუმის გავლით და კონსტანტინოპოლში გვიპირებდნენ ჩაყვანას. „არ დავემორჩილოთო“ — გადაწყვიტა პატიმართა პარტიულმა ბიურომ. მეორე დღეს, დილაუთენია მარდალეიშვილი და ივანოვი საღორიის ტყეში დაწვეს გვარდიელებმა. იმ დღეს ბათუმშიც ააფეთქეს ხიდი ჩვენებმა და კონსტანტინოპოლში „გამგზავრების“ გეგმაც ჩაიშალა.

მარტი იდგა, წითლები რომ შემოვიდნენ ქუთაისში. ჩვენი საკანის ფანჯრიდან წითელი ნაჭერი იყო გადაკიდული. სამი-ოთხი საათის შეუნელებელი სროლის შემდეგ ერთი მეთაური და ხუთი ცხენოსანი შემოიჭრა ციხის ეზოში.

მოვიდნენ!..

მეთაურმა გათავისუფლებული პატიმარი ქალების ფერხთით დაუშვა დროშა, ზედ თავისი ხმალი დააგდო და წუთიერი სიჩუმის შემდეგ გვითხრა, მე წავალ, რადგან კვლავ ბრძოლაში ვარ საჭიროო. ეს იყო ყველაზე ძვირფასი წუთები ჩემს ცხოვრებაში. — ამბობს პატივცემული ოლია და ოდნავ უთრთის ხმა.

ქუთაისის ბრძოლაში დაღუპულა მათი მხსნელი მეთაური...

ოლია გეურქოვა თელავში დაბრუნებისთანავე პარტიის თელავის რაიკომის ქალთა სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ხდება. მან თითქმის 40 წელი დაჰყო პარტიულ სამუშაოზე. ამ ხნის განმავლობაში იყო ამიერკავკასიის ქალთა I ყრილობის მონაწილე, პარტიის თელავის რაიკომის ბიუროს მუდმივი წევრი, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე. სამამულო ომის წლებში ამაგდარი რევოლუციონერი ქალი ძველ სამსახურს, თელავის ძაფსალებ ფაბრიკას დაუბრუნდა.

იმ დროს ფაბრიკა გეგმას ვერ ასრულებდა. ოლიამ კარგად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და გეგმის შესრულებას მიაღწია. 1943 წელს თელავის ძაფსალებ ფაბრიკაში დამზადებული 21 ნომერი ძაფი თვითმფრინავებისათვის იგზავნებოდა.

...გამოვცდი თუ არა მისი სახლის ეზოს, გულაღმა გაწოლილ ქუჩას ჩავაყოლე თვალი და ცხრამეტი წლის კაფანდარა გოგო წარმოვიდგინე: 1920 წლის ადრეული ზამთრის პირველ თოვლში ზაფხულის ფეხსაცმელით მიაბიჯებს ნახევრად გათოშილი, მაგრამ მაინც თამამი, გაბედული და რწმენით აღსავსე.

**მზია ჯიჯიაშვილი**

მარიამ ქაჯაია

# მოლოდინი

## ჯარისკაცის ძეგლად დამდგარი დედა

არ მოგტიროდი...
გაცილებდი კრძალულ ღიმილით,
ვერ გაგიმეტა დასაცრემლად სამიწე გულმა.
ვაჟკაცად გზრდიდი,
თავად ვიყავ ქალი გმირივით.
რატომ მეტირა? ხსნა რომ გთხოვა, შენმა მამულმა?

დამთავრდა ომი...
მოლოდინის გამიჩნდა სნება.
შენ არსად ჩანდი,
მე კვლავ მქონდა შენზე ოცნება:
აქ, სოფლის გულთან, —
სადაც დაგცილდი, — ვქცეულიყავ ქვად.

აბა, უკეთესს რას ვინატრებდი?
ახლა ყოველი.
ვდგავარ შენის გზის მაყურებლად და მოლოდინად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვულოცავთ

ჩვენ სახელოვან პოეტს — ნაზი კილასონიას სათაყვანო, მშობლიური რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, რაც ლოღიკური შედეგი გახლდათ იმ ღვაწლისა, რომელიც მან თავისი კაშკაშა, მოქალაქეობრივი მრწამსით აღსავსე ლექსებით დასდო თავის ქვეყანას.

ამ აღიარებამ დიდად გაახარა ქართველი მკითხველი — თაყვანისმცემელი მისი ფილიგრანულად ნატიფი ლირიკული და ამავე დროს ზეაწეული, გულწრფელი პოეზიისა.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგია, მთელი მისი კოლექტივი ულოცავს ნიჭიერ პოეტსა და ჟურნალისტს სამშობლოს ჯილდოს და უსურვებს მომავალ წარმატებებს.



# ნაზი კილასონია

ნაზი კილასონიას ხუთწლედის პრემია მიენიჭა ბოლო წლებში გამოქვეყნებული ლექსებისათვის, რომელთაც ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს მებრძოლი, შემმართებელი ხასიათით, ღლევანდელობის ნათელი გრძნობით, აქტიური პოზიციით, ერთი სიტყვით, თავიანთი ცხოვრებისეული წარმოშობით, და ამასთანავე — ლირიკულობით.

მე მინდა ხაზი გავუსვა ამ ორ ნიშანს: ცხოვრებისეულობას და ლირიკულობას პოეტი ქალის ლექსებისას, რაც დიდი ზომიერებით არის შერწყმული და გადადუღებული პოეტის გულში.

ეს ძნელი საქმეა, მაგრამ პოეტი ქალი თავისი შემოქმედების გზაზე წარმატებით სძლევს ამ რთულ ამოცანას.

როცა ნაზი კილასონიას ამ ოსტატობაზე ვფიქრობ, უფრო წარმოდგენები სჭარბობს, ვიდრე სიტყვა, ვიდრე ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, იქნებ იმიტომ, რომ ვცდილობ ძალზე მივუახლოვდე პოეტი ქალის პოეზიას და ყველაზე მოკლე ორბიტიდან ალვიქვა იგი. ხოლო ასეთი მიახლოების გამო მისი ლექსები, თავად ხატებითა და წარმოდგენებით სავსე, ჩემშიც ამასვე აღძრავს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებათა და თვალსაჩინოებათა რკალში მამწყვდევს.

თუ ეს ასეა, მაშინ საჭიროც კია, რომ ერთი მათგანი მაინც გამოვაჩინო. და კიდევ, ალბათ, იმიტომაც უნდა მოვიქცე ასე, რომ ის წარმოდგენა ჩემს შეხედულებასაც გამოხატავს.

აი, ეს ხატიც: მე ვხედავ სახლს, რომლის ფანჯრები მოედნისკენაა მიქცეული და მხოლოდ ერთი ფანჯარაა სხვენში გაჭრილი. ქვედა ფანჯრებიდან მოჩანს ცოცხალი უბანი: ქუჩები, მანქანებითა და ადამიანებით, მოჩანს მაღაზიები, საიდანაც გამვლელები დატვირთულები გამოდიან. აქედან ფეხსაცმელების შემკეთებლის დანახვაც შეიძლება თავის ციცქნა ჯიხურში, დალაქისა — თავის სარკეებიან სადალაქოში. ამ მოედანზე ზოგჯერ მუშტიკრივი იმართება, ხან მხიარული მექორწინეები ჩაივლიან, ნიაღვრებიც მოვარდებიან, ან შემოდგომის ფოთლების გროვას აალრჩოლებს ხოლმე მეეზოვე, ასე რომ აქ ნამდვილი ცხოვრება მდინარებს.

ხოლო სხვენის ერთადერთი ფანჯარა, ზედ კიბის სახურავზე რომ გამოდის, შორსაა ყოველივე ამისაგან, იქიდან მხოლოდ სახურავებს მოავლებ თვალს, ლამაზია წითელი კრამიტი თუ ნაირფერი თუნუქი. ნელა ირხევა ხეების წვეროკანები. ელექტრონის მავთულებს აჟრჟოლებთ, ზედ კი მერცხლები გალობენ. შორს ოქროსფრად ელავს ეკლესიის მაღალი გუმბათი, ქუჩაში ატეხილი ყოველდღიურობისა და წარმავლობის გნიასი აქ ვერ აღწევს.

ეს ორი ხედი დიდი ქალაქის ერთი უბნისა, ეს ერთმანეთისაგან წრულიად განსხვავებული სურათი, მე მეჩვენება სიმბოლურ სახეებად ცხოვრებისა და პოეზიისა. ისინი ერთად არასოდეს ხვდებიან ჩვენი ხედვის არეში და მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში, მხოლოდ ხსოვნაში შეიძლება ერთმანეთის გვერდი-გვერდ მოთავსდნენ.

ნაზი კილასონიას ლექსებში დაახლოებით ამგვარად ერთდება ცხოვრება და პოეზია. მკითხველები დამეთანხმებიან, რომ მისი „მაისისათვის თქმული", „მუშათა კლასი", „ჰანგი — ინტერნაციონალი", „მწვანე ფრონტი", „რწმენა", „რევოლუცია — ჩემი სიყვარული", „პათეტიკური", „საიუბილეო", „ცოდნა, შრომა, მამული" და სხვანი დღევანდელობის თემაზე შექმნილი ის ნაწარმოებებია, რომლებიც ბოლომდე მძაფრი ინტერესით იკითხება, რადგან თითოეულ მათგანში სინამდვილის გვერდით მოცემულია ამ სინამდვილის მღელვარე, პოეტური განცდა.

ჩემი დაკვირვებით, ამ ორი წამყვანი ძალის ურთიერთმონაცვლეობა ერთგვარ გავლენას ახდენს პოეტი ქალის ლექსის შინაგან აგებულებაზეც. სწორედ ისევე როგორც გამოცდილი მშენებელი ყოველ აგურთან ერთად დუღაბსაც იყენებს, პოეტი ქალი მშვენიერი ლირიზმით კრავს და ამაგრებს თავის მოქალაქეობრივ სათქმელს.

მოვიტან მაგალითებს:

„მტკვარი... უფრო ხმამაღალი ყიჟინით მდინარებს, ტფილისი ახალი მოჰშხუის წინარე, ტრასებით, უბნებით, კაშკაშით სტენდებით. მაქვს სრული უფლება ვიყვირო — ვთენდები" („თბილისი — საფიცარი)".

„მკერდზე მიბნევია წითელი გემმა, როგორც უკვდავების უბადლო ასლი, აჰა, პოეტებო, ელვარე თემა, მღელვარე თემა: მუშათა კლასი."

„და ახალ ეპოქებს მივეცი რუბრიკად კოჟრიან ხელების ლამაზი არსი: ვივა რესპუბლიკა! ვივა რესპუბლიკა! ვივა რესპუბლიკავ, მუშათა კლასის! ხომ გახსოვს? ხომ მღერი სიმღერებს უძველესს წელში გამართული ვარსკვლავთა დასით!". („მუშათა კლასი").

„ეს რამდენი დღე არის, ძილი არ მეკარება, ჩემმა ჩუმმა ბიჭუნამ, ჩემმა ჭკვიანთვალებამ მითხრა, კლასში გვასწავლეს ძნელი სიტყვა რომ არი: ინტერ-ნაცი-ონალი! — ინტერ-ნაცი-ონალი! — წიგნში რევოლუციის ცეცხლოვანი ზონარი. („ჰანგი ინტერნაციონალი").

„აბობოქრებულ პორტრეტად ვკიდებ, რაც სიჭაბუკეს გადმოუცია: რევოლუცია! კიდევ და კიდევ, და კიდევ, კიდევ — რევოლუცია! — ვარაზის წითელ აღმართს მოვყვები, გაფითრებული მომაქვს ლოყები, თქვენ ჩემს სიკვდილზე, მე რომ მოვკვდები, ამ ერთ უმაღლეს ტრფობას მოჰყვებით. („რევოლუცია — ჩემი სიყვარული").

„უპირველეს ქორედზეა ჩემს პოეტურ სამეფოში — ქარტეხილთა პოეზია: ლენის, ისკრის, ტამერფორსის!..

„ჩადექ, ქართა მწუხარებავ, ნურც საავდროდ იბურები, მშვიდობის ხმად მქუხარებენ კომუნისტთა ტრიბუნები".

„მძულს გულცივი ანკეტები, ამომშრალი საქაღალდე, მიყვარს რტოთა აკვირტება გაზაფხულს რომ დამღაღადებს". („პათეტიკური)".

„იმგვარად, როგორც ურმულს ვმღეროდი და მკერდთან თავი მედო ხარისა — ეს არის რწმენა დღევანდელობის და უფრო მეტად — ხვალის ხვალისა". („ეს არის რწმენა დღევანდელობის").

სწორედ ნაზი კილასონიას უნდა ეთქვა, რომ ცხოვრებაა ნამდვილი პოეზიის საგანი: „ასე ჩემო ფრინველო, ასე ჩემო ნამგალა, წამით არ დააყუჩო ლირიული ქნარი, ეს ხნულია პირველი, მაგრამ მაინც საგანი, პოეზიის საგანი, იყო! არის! არის!" („არის").

ამ ხმიერი მღელვარე სათქმელით, ამ მდიდარი პოეტური სამყაროთი გამორჩეული მოქალაქეობრივი ლირიკა პოეტი ქალისა დამსახურებულად აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოთი.

ეთერ სახვაძე

ნაზი კილასონია

# მწვანე ფრონტი

ქართველ მეჩაიეებს

თქვენ როგორ შეგკადრებთ —
პოეტურ სახმილით
დაშაქრულ სტრიქონებს, მინანქრის ყლორტიანს?
თქვენზე გულმართლებთან
ვისთან გავამხილო:
ეს ოქრო კი არა —
ეს მწვანე ფრონტია!
ვისთვის შეტევაა! — ვისთვის ედემია...
ვისთვის კოსმოსია! — ვისთვის ურემია...
მაგრამ თმებს, რომლებიც ადრე თეთრდებიან,
თქვენი სადარდელიც ურევია!
დღეს თქვენი სისხლძარღვის
ყოველი ფიორი —
ეს ოფლშეუმშრალთა ჰიმნი და სიბრძნეა:
ვარსკვლავებს სიზმრებში კრეფავენ იოლად,
სინამდვილეში კი — იბრძვიან!
დაკორძილ ხელიდან შუბლის ღრმა ღარამდის
თქვენში მომავალი მოჰქუხს გარანტიად.
დე, ვთქვათ გაბედულად:
დღეს თქვენი ღალატი
საქართველოსადმი ღალატია!..
გფარავდეთ კოლხური ნათელი მერდინი.
თქვენში მომავლობს ყოველი საწყისი.
თქვენ ხართ მოვალენი: ძველი ლეგენდიდან
მამულს დაუბრუნოთ ნანატრი საწმისი!
დაკორძილ ხელიდან
შუბლთა ღრმა ღარამდის
ოდეს თქვენ იძლევით მაგ ნაღდ გარანტიას,
გვმართებს განვაცხადოთ:
თქვენდამი ღალატი
მაღალ იდეალთა ღალატია!...
თქვენს მრწამსს გაუმარჯოს!
ამართულ ფრონტონით —
მზერით რომ მოუვლის მშობლიურ კარითკარს,
მაგ მწვანე ფრონტიდან, მაგ მწვავე ფრონტიდან
სამშობლო უკეთ ჭვრეტს თვითეულ ჯარისკაცს!..
გფარავდეთ კოლხური ნათელი მერდინი,
თქვენეულ იმედით ივსება საწყისი.
თქვენ ხართ მოვალენი:
ტანჯულ ლეგენდიდან
მამულს მოუბრუნოთ ღირსების საწმისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჟურნალისტთა VI ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან: მ. ვარდოსანიძე, თ. დოლიძე, ნ. ბუკია, ლ. ჯიაძე, ლ. მოწერელია, ქ. სახვაძე, ნ. ცისკარიძე, ე. ხოცუაშვილი, გ. ქუთათელაძე, მ. ქარდავა.

ვ. გენგიურისა და ჯ. ლომაძის ფოტო

# რედაქტორი



მანაც იზეიმა ორმოცდახუთის ცხრა მაისის დიადი გამარჯვება, მაგრამ გულში გაუნელებელი სევდაც ჩასწოლოდა: დარწმუნდა, რომ სამუდამოდ დაკარგა მეუღლე. არც ერთადერთი ძმა დაბრუნებია ომიდან. მისი ფიქრი და დარდი დღესაც იმ ავადმოსაგონარ წლებს დასტრიალებს თავს. ომმა წაართვა დედობა, მეუღლეობა, ბედნიერება.

მხოლოდ შრომამ უშველა, გამოიყვანა მძიმე დარდიდან. სასახელო შრომითი გზა განვლო დღემდე თამარ დოლიძემ: იყო საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელი, პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი, დღეს კი ლანჩხუთის რაიონული გაზეთის რედაქტორია.

...ახალგაზრდა გოგონა ოტია სარჯველაძეს გაჰყვა ცოლად. რა ბედნიერი იყო მაშინ, ეამაყებოდა ლაშისღელის სკოლის დირექტორის მეუღლეობა. მაგრამ წყეულმა ომმა ექვსი თვის შემდეგ წაართვა ეს ბედნიერება... დიდხანს წერილებით ხარობდა. შემდეგ დაუსრულებელი მოლოდინი დაიწყო... და მაინც ბედნიერად თვლიდა თავს, ქმრის დაღუპვის ქაღალდი რომ არსაიდან მოდიოდა.

...რედაქტორი გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ნომერს ამზადებდა. რედაქციაში მოხაზეს მაკეტი, შეარჩიეს მასალები, ომის ვეტერანები თავიანთ სათქმელს ამბობდნენ გაზეთის ფურცლებზე. რედაქციის ყველა მუშაკი იმ დღეს განსაკუთრებით ესათუთებოდა ქალბატონ თამარს, რადგან 9 მაისს ყოველთვის განსაკუთრებით აღელვებული იყო ის. ასე იცის წარსულის მწარე მოგონებებმა. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ თამარი მეუღლის, ძმისა და ომში დაღუპულთა პატივსაცემად მივიდა შინმოუსვლელთა ობელისკთან, ასე მეორდება ახლაც.

...როცა თამარი გაზეთში სამუშაოდ გადაიყვანეს, ეგონა უსკოლოდ და უბავშვებოდ ვერ გაძლებდა — ოცი წელი ხომ ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა საშუალო სკოლაში. დღეს კი ფიქრობს, რომ უგაზეთოდ ვერ იცოცხლებს. დიდი ცოდნა და გამოცდილება შესძინა პარტიის რაიონულ კომიტეტში მუშაობამ — მეჩაიეებთან, მეციტრუსეებთან, მეცხოველეებთან, კულტურის დარგის მუშაკებთან შეხვედრებმა. გამუდმებით ზრუნავდა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. რაიკომში იდეოლოგიური უბანი ებარა — სკოლები, ბაგა-ბაღები, გაზეთი. ბევრი საზრუნავი და სატკივარი ჰქონდა და ბევრი საინტერესო ღონისძიების მოთავე და სულისჩამდგმელი იყო: შეხვედრები ლანჩხუთის მკვიდრ ვენერა ურუშაძესთან და სერგი წულაძესთან, რომელთაგან ერთმა ინგლისურ

ენაზე უკვდავყო „ვეფხისტყაოსანი“, მეორემ — ფრანგულზე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღი და სამეცნიერო საბჭოს გასვლითი სესია ლანჩხუთში; შეხვედრები აკაკი ხორავასთან, გიორგი ლეონიძესთან, აჭარელ მწერლებთან...

შემდეგ მუშაობა რედაქციაში...

კარგა ხანია მეგობრობა გზად და ხიდად გაიდო ლანჩხუთისა და ბელორუსიის სსრ, ვიტებსკის ოლქის როსონის რაიონულ გაზეთებს შორის...

ამ მეგობრობის სათავე დიდი სამამულო ომიდან დაიწყო, როდესაც ლანჩხუთელი მხატვარი ჭოლა კუკულაძე ვიტებსკის მიდამოებში პარტიზანულ რაზმში იბრძოდა, ის შეიყვარეს და დაიძმობილეს ბელორუსებმა. ომგადახდილს, მშობლიურ რაიონში დაბრუნებულს თან ჩამოჰყვა იმ ხალხის სიყვარული და პატივისცემა. შემდეგ იმ საბრძოლო ეპიზოდებს მოუთხრობდა თანამემამულეებს ჭოლა. თხრობამ პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა და გაზეთის მეშვეობითვე დამეგობრდა ეს ორი რაიონი. მათი შრომითი საქმიანობა სისტემატურად შუქდება ლანჩხუთელთა და ვიტებსკელთა გაზეთების ფურცლებზე. ხოლო ჭოლამ, ვიტებსკელებს საჩუქრად პარტიზანული ბრძოლების ამსახველი მოზრდილი პანო უსახსოვრა.

თამარის ინიციატივით რედაქცია ხშირად აწყობს რეიდებს სოფლებში, გაზეთი მთლიან ნომრებს უძღვნის მოწინავე, მშრომელ ადამიანებს, ჰკიცხავს ჩამორჩენილთ და უსაქმურთ.

გაზეთი გამოეხმაურა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ რეპორტაჟსაც — „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, მანაც აიმაღლა ხმა დრომოჭმული, მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლაში და ფართოდ გააშუქა ნიგვზიანელთა მოწოდება „არ დავუშვათ ხალხმრავალი ქორწილი და ქელეხი“. ამ მოწოდების შესაბამისად სუფსელებმა ახალი თაოსნობა წამოიწყეს და გაზეთმა მოამზადა სპეციალური გვერდი, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ხარისხსა და ვარგისიანობას ეხებოდა.

რედაქციის მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ იწვევენ რაიონის მოწინავე მეჩაიეებს, მექანიზატორებს, ეკონომიკის დარგის მუშაკებს, მსჯელობენ, თათბირობენ, კამათობენ, ამას ეხმაურება გაზეთი.

რედაქციასთან ჩამოყალიბდა კალმოსანთა“ წრე, რომელსაც წლების მანძილზე პოეტი რევაზ ლორია ხელმძღვანელობს. რედაქტორის ყურადღება ამ წრესაც სწვდება, არჩევს და ბეჭდავს საუკეთესო მოთხრობებსა და ლექსებს.

აღსანიშნავია თამარ დოლიძის შეუნელებელი ყურადღება რედაქციის მუშაკების მიმართ. ამ ზრუნვის შედეგად რედაქციის კოლექტივი ერთსულოვნად, მეგობრულად, საქმის ერთგულების პრინციპით ცხოვრობს და შრომობს. რედაქტორს მხარში უდგანან მოადგილე რევაზ ლორია, პასუხისმგებელი მდივანი ქეთევან ნაკაშიძე, განყოფილების გამგეები ნელი ძნელაძე, გური ბირბიჩაძე, კორესპონდენტები ლიანა ხუნდაძე, ფოტოკორესპონდენტი ამირან თოფურია, რადიოკორესპონდენტი უშანგ შეწირული, კორექტორები ლივია იმნაძე და მზია ბეგაძე. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა თავაულებელ შრომაში იბადება ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „კომუნისტური შრომის“ თითოეული ნომერი.

ერთ შემთხვევას იგონებს თამარი. ერთხელ რაიონში მოულოდნელად ჩაქრა შუქი. დადუმდა ლინოტიპი, საბეჭდი მანქანა, შეწყდა სტამბის გამაყრუებელი ხმაური. მეორე დილით კი გაზეთს ელოდა მკითხველი. ღელავდა თამარი, სხვა გზა არ იყო, გათენებას უნდა დალოდებოდნენ. ასეც მოიქცნენ. გამთენიისას ისევ ახმიანდა მანქანები და დილით დაბეჭდილი გაზეთი მიიღეს მკითხველებმა.

რედაქტორის კაბინეტში ღამით გვიან ქრება შუქი. ქალბატონი თამარი მანამ არ ტოვებს რედაქციის შენობას ვიდრე გაზეთის სალებავშეუშრობელ ნომერს ერთხელ კიდევ საბოლოოდ არ გადაავლებს თვალს.

შინ კი ელოდებიან. ელოდება მისი გაზრდილი დისწულის ცუგრუმელა გოგობიჭი. თამარი შეაღებს სახლის კარს და ბებო მოვიდაო — მაღლდება ჭერი. ბებოს ძახილი სისხლის ძახილია, თამარს ეს უკურნავს წარსულის იარებს, უყუჩებს შინმოუსვლელი მეგობრისა და ერთადერთი ძმის დაკარგვის ტკივილებს.

თამარს წლების მანძილზე მუშაობაში დაბრკოლებები და სირთულეები მრავლად შეხვედრია. მან საზრიანად იცის როგორ დააღწიოს თავი სიძნელეებს. სიმშვიდე და სიდინჯე მისი დარბაისელი ბუნების ნაწილია.

რედაქტორის მკერდს ჯილდოები ამშვენებს: შრომის წითელი დროშის ორდენი და მრავალი მედალი, მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ახლახანს „კომუნისტურმა შრომამ“ დაარსების 50-ე წლისთავი იზეიმა. ბევრი გულთბილი, გულში ჩამწვდომი სიტყვა ითქვა გაზეთის, მისი კოლექტივისა და რედაქტორის მიმართ.

თამარი კი იდგა როგორც გაზეთის თავქალი და მადლობის ნიშნად მდაბლად უხრიდა თავს ყველა კეთილისმსურველს.

**ნანული ბუკია**

იგეგმება გაზეთის ახალი ნომერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

*საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატი*

# ხალხის შვილი



ოჯახი სახელმწიფოს ბურჯიაო, რომ ამბობენ, ალბათ გენო და რუსუდან დარჩიების მსგავსნი ჰყავთ მხედველობაში. გენო ტრესტ „კოლხეთმშენის“ № 3 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში ტრაქტორისტად მუშაობს. ახალგაზრდული ხალისი, შრომა და გარჯა, ერთი ულელი თვალმახარა ბიჭები — აი, მათი კერიის უძვირფასესი სამკაული.

16 წლის იყო რუსუდან ჯორბენაძე გენო დარჩიას მეუღლე რომ გახდა. სიძის ოჯახს დამწუხრებულ გულზე მალამოსავით დაედო ახალი წევრის შემომატება, ამ ახალმა კიდევ ორი პაწია ბიჭუნა მიუმატა დარჩიების გვარს და ქალიშვილის დაღუპვის გამო დამწუხრებულ დედამთილსაც გული გაუთბო.

გენოს ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მექანიზაციის ფაკულტეტი წარჩინებით აქვს დამთავრებული. რუსუდანსაც ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ახალ ოჯახში, რომ საშუალო განათლების მოწმობის მისაღებად გამოცდები ჩაებარებინა.

შემდეგ დადგა დრო, რომ რუსუდანს სამუშაოზე ეფიქრა. სოფელი გვიმბრალაური ლანჩხუთს ზედ აკრავს და იქ შეიძლებოდა ქალს რაიმე შესაფერი სამუშაო ეშოვა. მაგრამ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ერთი სანუკვარი მიზანი ჰქონდა: ცალკე დასახლებულიყვნენ, საკუთარი კერა შეექმნათ. მეგობარი ქალების რჩევით რუსუდანმა კოლმეურნეობას მიაშურა: ჩაის ისეთი მადლი და ხვავ-ბარაქა ახლავს, მონდომებულ ადამიანს გაუკეთებელი არაფერი დარჩება.

სოფელში გაიზარდა რუსუდანი, მაგრამ პირველ ხანებში დიდი ვერაფერი მკრეფავი იყო. ძალიან ცდილობდა, ძალების მთელი დაძაბვით შრომობდა. ზურგით ჩამოჰქონ-, და ციცაბო ფართობიდან ჩაის ფოთოლი, მეზობელი ქალებიც ამოუდგნენ გვერდში. განსაკუთრებით ზაირა დარჩიას მიენდო. უფროსი ამხანაგი ასწავლიდა, არიგებდა, ამხნევებდა და ისე გაიწაფა მუშაობაში, მალე დამრიგებელს ტოლს არ უდებდა. რუსუდანმა მეათე ხუთწლედის ჩაის ხარისხოვანი ფოთლის დამზადების გეგმა 2,5 წელიწადში შეასრულა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. ბიჭები გაზარდა, სახლიც აიშენა, უფროსებს კიდევაც უკვირთ, როგორ ახერხებს ახალგაზრდა ქალი მოუაროს ქმარსა და შვილს, იხვსა და ქათამს, ძროხასა და ინდაურს, ეზოსა და სახლს, და მიუხედავად ამდენი საოჯახო საქმისა, სასახელოდ შრომობდეს კოლმეურნეობაში.

რუსუდან დარჩიას ახალგაზრდული ძალების აყვავების განუმეორებელი ჟამი აქვს. იგი ოცდახუთი წლისაა. კოლმეურნეობაში მეჩაიეთა კომკავშირულ-ახალგაზრდულ რგოლს უდგას სათავეში; არჩეულია კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრად: მონაწილეობას მიიღებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის VII საკავშირო ყრილობის მუშაობაში, დელეგატად წარგზავნეს საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობაზე.

სულ რამდენიმე დღის წინ პარტიის რაიკომში იყო რუსუდანი. საკანდიდატო სტაჟი გაუვიდა და პარტიის წევრად უნდა მიეღოთ. ღელავდა. ლამაზ ნაცრისფერ თვალებში და სანდომიან სახეზე მოლოდინი და შეკითხვა ეწერა: — ნეტავი რას შემეკითხებიან? — ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ მას რაიმე შეღავათს გაუწევდნენ, როგორც შრომით სახელგანთქმულ ქალს. იგი საგულდაგულოდ ემზადებოდა ამ დიდი გამოცდისათვის და კარგადაც ჩააბარა. მთელი თავისი ცხოვრებით, ფიქრითა და აზრით, თავისი მისწრაფებებით რუსუდანი ხალხისა და ქვეყნის შვილია. ძალიან კანონზომიერია, რომ მას კომუნისტის ჰქვია სახელი!

ქეთევან ნაკაშიძე

ლანჩხუთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ არის საქმე იქ, უნგრეთში?

ერთ სულ მოსახლეზე ხორბლის წარმოებით უნგრეთს მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში კანადისა და ავსტრალიის შემდეგ, სიმინდის წარმოებით იგი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩება, ღორის ხორცის წარმოებით — მხოლოდ დანიას.

უნგრეთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების თითქმის 1000 სახეობას გზავნის საექსპორტოდ მსოფლიოს ას ქვეყანაში.

უნგრეთის საკარმიდამო და დამხმარე მეურნეობები ქვეყნის მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მესამედს იძლევა.

# ორკესტრის დირიჟორივით

სოფელს ტენგერი ჰქვია. აქ ოცდაათი კომლია. რამდენი ასეთი სოფელი თუ ხუტორი მინახავს უკრაინაში! ასეთივე ბაღები, სადაც მწიფს ვაშლი, მსხალი, ასეთივე წითურა ყოყლოჩინა მამლები, ოქროსბიბილოებიანი. და ვარდები, — უამრავი ვარდი, — ნამდვილი ვარდის სამეფოა!

რა თქმა უნდა, — ვფიქრობ მე, — აქ ცხოვრობენ მოხუცი კაცები და ქალები, რომლებიც ბოსტანში ფუსფუსებენ. ეს ასეა, მაგრამ არც მთლად ასე. საკუთარი მეურნეობა! — ამ ცნებას უნგრეთში რამდენადმე სხვა ელფერი დაჰკრავს.

— დასავლელი ეკონომისტები გვაკრიტიკებენ მეურნეობის საკარმიდამო ფორმით გატაცების გამო, — მითხრეს ბუდაპეშტში ჩემმა უნგრელმა კოლეგებმა — ჟურნალისტებმა. — ეს რა სოციალისტური სახელმწიფოა, თუკი პროდუქტების მესამედს წვრილი წარმოებისაგან იღებსო?! ჩვენ ეს კრიტიკა არაპროფესიულ, უსაფუძვლო კრიტიკად მიგვაჩნია. ვინ აწარმოებს საკვებს? კოოპერატივი, სახელმწიფო მეურნეობა, და უხვადაც აწარმოებენ. ყველგან, ყველა მაღაზიაში შეიძლება იყიდო იგი. მოზარდეულს საკარმიდამო მეურნეობის პატრონი კოოპერატივში იღებს. იქიდანვე უგზავნიან მას აგრონომს, ვეტერინარს. ყველაფერი ეს რომ ჩამოართვა, წვრილი მეურნეობები მაშინვე დაკნინდებიან. აი თქვენს წინაშეა მსხვილი საზოგადოებრივი და წვრილი დამხმარე მეურნეობის ინტეგრაცია. რატომ არ უნდა განვითარდეს ასეთი ფორმის სასოფლო შრომაც?

მართლაც, რატომ არ უნდა განვითარდეს? ჰოდა, ვითარდება კიდეც, და ფრიად წარმატებულადაც!

წყნარი პატარა სოფელი ტენგერი — ეს კოოპერატივის განსაკუთრებული საამქროა, საშინაო საამქრო.

შევაღეთ ერთი ჭიშკარი, შევედით ვრცელ ეზოში. შემოგვეგება მასპინძელი ლაიოშ ტოტო. სამოცდაათი წლის კაცია, მაღალი, ჩასკვნილი. ქუდი მოიხადა, ცხვირსახოცით შეიმშრალა მელოტი თავი და ვარდისფერი სახე. მისი ლურჯი თვალები უწყინარ ეშმაკობას გვასხივებს.

— მრავალი წლის განმავლობაში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ვმუშაობდი, — გვიამბობს ლაიოშ ბიძია, — დიდი ხანია, რაც აქაური კოოპერატივი შევქმენი. სოფლის სოციალურ ყაიდაზე გარდასაქმნელად ვილვწვოდი. მერე პენსიაზე გავედი, მაგრამ გულხელდაკრეფილი ხომ არ ვიჯდებოდი! გადავწყვიტე თავად მემუშავა საზოგადოების საკეთილდღეოდ. სხვა რომ არ იყოს რა, ჩემი საკუთარი, ბებრული ანგარიში მაქვს: თუ გინდა დღეგრძელი იყო — იმუშავე, დატრიალდი. ჰოდა, დავტრიალებ ჩემს მოზვრებს...

6-7 ხბოს იღებს იგი კოოპერატივში. ფურაჟს, მარცვალს, იონჯასაც ის უთესავს.

ვათვალიერებთ მეურნეობას. ჩასუქებული მოზვრები ჰყავს — ეს მიმდინარე სეზონის მეორე პარტიაა.

— პირველი უკვე გავგზავნე, საექსპორტოდ სსრ კავშირში... — გვიამბობს ლაიოშ ბიძია, — უკვე ათი წელია მოზვრებს ვასუქებ. ამ ხნის მანძილზე, — ახლახან გამოვიანგარიშე, — 100 ტონამდე (ანუ 10 ვაგონი) ხორცი გავეცი.

მასპინძლის ხმაში სიამაყე გამოსჭვივის. წარმოვიდგინოთ ეს რკინიგზის შემადგენლობა, უბრალო პენსიონერის ეზოდან რომ გამოდის... სიამაყე კანონიერია: მას ცოლიც ეხმარება, რძალიც. ვაჟიშვილი კი სახელმწიფო მეურნეობაში მუშაობს. როცა მოზვრები საჭირო წონით კონდიციას აღწევენ, კოოპერატივი სატვირთო მანქანას გზავნის. ასე რომ, არავითარი დავიდარაბა არ უხდება რეალიზაციისათვის, ფულს მაშინვე იღებს. რა თქმა უნდა, ექვითება საკვების და სხვათა და სხვათა ღირებულება...

ლაიოშ ბიძიამ გამოგვაცილა, ჭიშკარს გამოსცდა, დადგა და გამომშვიდობებისას ქუდი მოიხადა.

ხანშიშესულ ქალს იოჟეფნი მატრაის დიდი ოჯახი ჰყავს, დიდი სახლი აქვს: თვითონ, ქალიშვილი — მასწავლებელი, მისი ქმარი — კოოპერატივის მთავარი მეცხოველე, დედამთილი. მატრაის ოჯახმა ბოსტნეულს მიანიჭა უპირატესობა, ჩვეულებრივს კი არა, იმ ბოსტნეულს, პოლიეთილენის აფსკით გადახურულ უბრალო სათბურში რომ მოჰყავთ. ახლა აქ ტკბილი წიწაკა — ცნობილი უნგრული პაპრიკა მწიფს. ზამთარში ქალებს სალათის ჩითილები გამოჰყავთ, რომლებსაც გაზაფხულის დამდეგს რგავენ. მერე კრეფენ და წიწაკას რგავენ, რომელიც სეზონში სამ მოსავალს იძლევა. აქვთ აგრეთვე კიტრი, ნაირ-ნაირი მწვანილი. სხვათა შორის, ბევრ სოფელში აფსკიან სათბურებში კარტოფილიც მოჰყავთ და ქალაქელებს მარტ-აპრილში შეუძლიათ იყიდონ ახალი კარტოფილი.



— ბოსტნეული ადვილად ფუჭდება და სწრაფად უნდა გასაღდეს, არა? — ვეკითხები დიასახლისს.

— ჩვენ ხელშეკრულებას ვდებთ კოოპერატივთან, რომელიც შეღავათიან ფასად გვაძლევს აფსკს, თესლს, სასუქებს. ჩვენ კი ვალდებულებას ვკისრულობთ მივყიდოთ მას გარკვეული რაოდენობის მოსავალი. ჩვენი შეკვეთით გვიგზავნიან მანქანას და მიაქვთ ბოსტნეული. ასე რომ, ბოსტნეული არ გვიფუჭდება.

თურმე, იოჟეფნი მატრაის კოოპერატივთან ხელშეკრულებით საკარმიდამო ნაკვეთში მუშაობა შრომითს სტაჟად ეთვლება პენსიისათვის. და ეს სწორიც არის — მისი საქმიანობა ხომ, არსებითად, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის შინწარმოების ფორმაა.

საკარმიდამო მეურნეობა გადაქცეულია სპეციალურ დარგად, რომელსაც წინასწარ გეგმავენ, ხელმძღვანელობენ, მასზე ყოველდღიურად ზრუნავენ. მე გავიცანი ვიქტორ ხორვაი — საკარმიდამო მეურნეობის სექტორის გამგე. ხორვაი ტენგერის ტიპის ექვსი სოფლის მცხოვრებლებს მეურვეობს. ისინი უვლიან მოზვრებს, გოჭს, წიწილას, ბოცვერს, სახორცე მტრედს, მოჰყავთ ბოსტნეული, ხილი, კენკრა.

— თითოეული ოჯახი იხაზავს გეგმას, რას აწარმოებს და რამდენს, — მიხსნის ვიქტორ ხორვაი, — ჩვენ ამ გეგმას ვაჯამებთ და უკვე გვაქვს შესაძლებლობა შევადგინოთ მთელი ჩვენი სექტორის წლიური პროგრამა. მე, როგორც ხელმძღვანელი, საქმიან ურთიერთობას ვამყარებ ფრინველებთან, მის საწარმოებთან — გამოზრდილი წიწილების ნაწილს კოოპერატივი იღებს, ნაწილს კი ფრინველმრეწვს მიჰყიდიან. მაგალითად, სოფელ კიოვაგოსიოლეშის მცხოვრებლები ბოცვრებზე სპეციალდებიან. მათ თითქმის მთლიანად გზავნიან საექსპორტოდ იტალიაში. მცხოვრებლები კოოპერატივთან დებენ ხელშეკრულებას, რომლითაც ყალიბდება მათი ურთიერთობა. კოოპერატივში გვაქვს საკუთარი კომბინირებული საკვების ქარხანა. საკვები ჩვენც გვყოფნის და საკარმიდამოსაც. ის კი არადა, სხვა მეურნეობებს შეგვიძლია მივყიდოთ. ჩემ გარდა, საკარმიდამო მეურნეობის სექტორში მუშაობენ ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმი, ბოცვრების და, ასე განსაჯეთ, მტრედების სპეციალისტებიც. ყველას უმაღლესი განათლება აქვს. კოოპერატივი, მისი დახმარება და ხელმძღვანელობა რომ არა, საკარმიდამო დარგი ვერ განვითარდება.

ჯერ კიდევ უნგრეთში ჩემი პირველი მოგზაურობისას დავრწმუნდი, რომ სწორედ ეს — დიდი და პატარა ეკონომიკის მჭიდრო ურთიერთმოქმედებაა უნგრელ სოფლის მცხოვრებთა პირადი საკარმიდამო მეურნეობის თავისებურება. ეს მეურნეობები სტიქიის ნებაზე არ არის მიშვებული: „აჰა შენ ნაკვეთი, და მერე — რაც გინდა ქენი, თავში ქვა გიხლია და მუცელში სამართებელიო". წვრილი წარმოება მჭიდროდ არის დაკავშირებული ძირითადთან. იგი მისი განუყოფელი ნაწილი გახდა. სწორედ კოოპერატივი, სახელმწიფო მეურნეობაა შინ დამხმარე წარმოების ორგანიზატორი. მსხვილი სოციალისტური მეურნეობა აქ ორკესტრის დირიჟორად გვევლინება.

— როცა გლეხები კოოპერატივში გაერთიანდნენ, თითოეულს დარჩა ეზოს ნაგებობები, — თქვა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ იანოშ ელეკიმ. — რატომ უნდა დაძველებულიყო და დანგრეულიყო? ეს ხომ უყაირათიანობა იქნებოდა. ცნება „წვრილი მწარმოებელი" მარტო საკარმიდამო ნაკვეთის პატრონებს კი არ შეიცავს, არამედ, არსებითად, — უნგრეთის მთელი მოსახლეობის ნახევარ მუშებს, ინტელიგენციას, მარტო სოფლებისა კი არა, ქალაქების მცხოვრებლებსაც. ახლავე აგიხსნით. წვრილ მწარმოებელთა 15 პროცენტზე მეტს თავიანთ სასოფლო საკარმიდამო ნაკვეთებში აქტიურად მომუშავე ადამიანები შეადგენენ, ათ პროცენტზე მეტს — სოფლის პენსიონერები ოდნავ ნაკლებს — ქალაქის პენსიონერები, და დაახლოებით 30 პროცენტს — სხვადასხვა ქალაქელი. ჩვენ მათ არააქტიურ მომუშავეებს ვუწოდებთ. ესენი არიან პატარ-პატარა საბაღე ნაკვეთების პატრონები და იგივე ქალაქების მცხოვრებლები, რომლებსაც შეუძლიათ, თუ სანიტარიულ წესებს დაიცავენ, გამოზარდონ ღორი, ბოცვერი. საკვები თავისუფლად იყიდება — ინებე, რაც გინდა, ის გამოზარდე და ჩააბარე ხორცკომბინატს! უნგრელები გამრჯე, შრომისმოყვარე ხალხია. მაშ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ იმათი შრომისმოყვარეობა, ვისაც სურს და შეუძლია იმუშაოს თავისუფალ დროს? ბევრისათვის ეს თავისებური დასვენება, ბუნების წიაღში ყოფნა, საქმიანობის შეცვლაა. სოფლის მეურნეობაში არის ისეთი კულტურები, რომელთა მოყვანის უნარი მხოლოდ წვრილ მწარმოებელს შესწევს: მწვანილი, ყოლო, მოცხარი, საადრეო ბოსტნეული აფსკიან სათბურებში. იგი მათ სწრაფად მოკრეფს და სწრაფად გაასაღებს. თანაც ეს მცენარეები ბევრ ხელის შრომას მოითხოვს. მათ უფრო კარგად გაართმევს თავს მთელი ოჯახი. თუმცა, ყოველ სოციალისტურ ქვეყანას საკუთარი თავისებურებები აქვს, და წვრილი წარმოების ფორმებიც არ შეიძლება ერთნაირი იყოს...

სწორია, რასაკვირველია, შეუძლია მკითხონ: ხორცის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქციის შინაწარმოებითი ასეთი საყოველთაო გატაცების პირობებში, საზოგადოებაში, ალბათ, სწრაფი გამდიდრება მიმდინარეობსო? სწორედ ეს არის საქმე, რომ მიმდინარეობს. მოქმედებს, როგორც მოგახსენეთ, პროგრესიული გადასახადის სისტემა — ეს ეკონომიკური ბერკეტია. არსებობს ზნეობრივი ბერკეტებიც — აქ აშკარად არ ახალისებენ იმათ, ვინც მეტის წაგლეჯას ცდილობს.

რა ეცემა თვალში აქ ჩამოსულს? ქალაქშიც და სოფელშიც უნგრელები საკმაოდ სადად ცხოვრობენ, არავითარი ზედმეტობა, არავითარი ხარბი დამგროვებლობა. ეტყობა, თითო მახინჯი ყველა ოჯახს ჰყავს. მაგრამ არის გარკვეული საერთო განწყობილებაც.

უქმეებზე პატივი დამდო და თავის ბაღში მიმიწვია ეკონომიკის მეცნიერრებათა დოქტორმა ბელა ტომპამ, რომელმაც ხუმრობით დასძინა: მეც, მეცნიერი აგრარიკოსი, იმ მოქალაქეებს მივეკუთვნები, რომლებიც „არააქტიურად მუშაობენ მიწაზე" ჩემი მეგობრის ბელას და მისი ცოლის „არააქტიურობა" მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ ისინი თავის ნაკვეთზე მოწეულ ზედმეტ ხილს ადგილობრივ დამამზადებლებს არ აბარებენ. არა აქვთ ზედმეტი და იმიტომ! ტომპა პატარა მეურნეობაში ექვს მეასედ ჰექტარზე იწევს ცოტა ყურძენს, ცოტა ხენდროს, უდგას ერთი გარგარი და ერთი კაკლის ხე, რამდენიმე ვაშლი, მსხალი. ესთეტიკისა და სილამაზისათვის არის დატოვებული ზურმუხტისფერი მდელო. წითლად ხასხასებს ამ მდელოზე ვარდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა





ხის თავწვეტიანი „ალპური“, მანსარდიანი სახლი, ბუხარი, პატარა მარანი. პირდაპირ მოჩანს დუნაი, მდინარეზე მიცურავენ გემები, ლამაზი იახტები. გვერდით ასეთივე ან ოდნავ განსხვავებული სახლებია. მაგრამ ყველგან ვხედავთ კარგადმოვლილ ექვს მეასედ ჰექტარ ნაკვეთებს, რომლებსაც სულ გინდა უყურო ისეთი ლამაზებია ისინი. ამ ნაკვეთებზე ბევრი ოფლი უღვრიათ ადამიანებს. და ტერმინი „არააქტიური“ აქ სულაც არ გამოდგება.

* * *

შევხვდი ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს იანოშ მარტონს.

— შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ახლა უნგრეთის სოფელში ხდება, თქვა მან, — ის იყოს, რომ იგი აგრარულ-სამრეწველო სექტორად გადაიქცა. ახლა ჩვენს სოფლებში უკვე თავმოყრილია დიდძალი სხვადასხვა საწარმო, ძირიდადად ისინი, რომლებიც ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს: ხორცის კომბინატები, ხილ-კონსერვის, კომბინირებული საკვების ქარხნები. მაგრამ სოფელში სულ უფრო მეტად იჭრება ხის დამმუშავებელი მრეწველობა, ჩარხთმშენებლობა, ელექტრონიკა. ეს კარგია! ახალგაზრდობა რჩება. იზრდება სოფლის საზოგადოების კულტურა. ერთ ოჯახში ახლა უკვე შეხვდებით მეცხოველეს, მუშას, ექიმს, ინჟინერს, მასწავლებელს. თუ წინათ ქალაქი იზიდავდა სოფლის ხალხს, ახლა, როგორც იქნა, აღარავინ მიილტვის იქითკენ, მარტო იქ არ ეძებენ ბედს. ბუნების წიაღში ცხოვრება კი აჯანსაღებს კაცს, იგი კარგად გრძნობს აქ თავს. ასეთ პირობებში შრომა ყველაზე ჰუმანიზებულია.

მე გახლდით ბუდაპეშტის სოფლის მეურნეობის მუზეუმში. ჰმბობენ, ასეთი მუზეუმი ევროპაში არ არისო. აქ მოწყობილია სოფლის შრომის თემაზე ყმაწვილთა ნახატების გამოფენა. და აი, რამ დამაინტერესა. თანამედროვე ბავშვები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ბობოქარ საუკუნეში ცხოვრობენ, ძირითადად, კომბაინებს და ტრაქტორებს კი არ ხატავენ, — როგორც მოსალოდნელი იყო, — არამედ ხარებსა და ცხენებს. მიქრიან მხედრები. მოხუცი თივით დაზვინულ ურემზე ზის. ბიჭი ბაჭიებს აჭმევს.

ხომ არ არის ეს ყმაწვილის ინტუიციური მისწრაფება იმ სახეობის შრომისადმი, რომელსაც იანოშ მარტონი ჰუმანიზებულს უწოდებს? ხომ არ არის ეს ადამიანის ოდინდელი ლტოლვა ბუნებისადმი — ქვეყნად ჩვენი ყოფის საფუძველთა საფუძვლისადმი?

**კაპიტოლინა კოჟევნიკოვა,**
გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“
სპეციალური კორესპონდენტი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა.
მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მხატვრული განცდის დიდი სამყარო...

ვოკალისტთა ყოველ პლეადას გამოჩენილი მომღერლები უდგანან სათავეში. ამ მხრივ არც 60-იანი წლებია გამონაკლისი. ამ დროს ესოდენ დიდი რაოდენობით გამოდიან ასპარეზზე ახალგაზრდა ქართველი მომღერლები, ვოკალისტთა ახალი თაობა, რომელმაც განაგრძო, გაამდიდრა ეროვნული ვოკალური კულტურის საუკეთესო ტრადიციები და საკუთარი სიტყვა თქვა მის შემდგომ აღმავლობასა და განვითარებაში. დიახ, 60-იან წლებში ქართულ ვოკალურ სკოლას კვლავაც შეემატა ახალი სახელები, ახალი ვარსკვლავები... მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი, საქართველოს სსრ სახალხო და რსფსრ დამსახურებულ არტისტს, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს, სსრკ დიდი თეატრის გამოჩენილ სოლისტს მაყვალა ქასრაშვილს განეკუთვნება, — ქართველ მომღერალთა პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენელს, რომელმაც მუსიკალური კულტურის ავანსცენაზე გამოჩენისთანავე განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული მოიპოვა. ის იმთავითვე მოგვევლინა მკაფიოდ ინდივიდუალურ, დასრულებულ, უზადო ვოკალურ-აქტიორული ნიჭით დაჯილდოვებულ ხელოვანად, რომელმაც სწრაფად დაიპყრო დიდების მწვერვალები...

მაყვალა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაოსტატდა, რსფსრ სახალხო არტისტის, პროფესორ ვერა დავიდოვას ხელმძღვანელობით. გამოცდილმა პედაგოგმა ბევრი რამ შესძინა თავის ნიჭიერ მოსწავლეს, გაუკაფა გზა საოპერო ხელოვნების მწვერვალებისაკენ... მაყვალას საუცხოო ოსტატობასა და ნიჭიერებაზე ისიც მეტყველებს, რომ კონსერვატორიის დამთავრებამდე, ჯერ კიდევ მეხუთე კურსის სტუდენტი — ქასრაშვილი სოლისტად ჩარიცხეს სსრ კავშირის დიდი თეატრის დასში, სადაც დღემდე მოღვაწეობს. ამ ხნის მანძილზე მან მრავალი როლი განასახიერა, მრავალი გამარჯვება მოიპოვა. ამას კი ბრწყინვალე ბუნებრივი ნიჭის წყალობით მიაღწია. დიახ, ბუნებამ მას უხვად დააბერტყა თავისი ბარაქიანი კალთა. მაყვალას საოცრად თავანკარა, იშვიათი სილამაზის ხმა და უზადო მუსიკალობა, ხმის პლასტიკურობა და ნიუანსირების მრავალფეროვნება, თანდაყოლილი საშემსრულებლო კულტურა სტუდენტობის წლებშივე იპყრობდა მსმენელის ინტერესს. შემდეგ კი, უკვე დიდი თეატრის ახალგაზრდა სოლისტის ტალანტმა საერთაშორისო რეზონანსს მიაღწია.

ქართველი ქალიშვილის დიდ თეატრში, ხელოვნების იმ დიდებულ ტაძარში მიწვევა, სადაც იმხანად ბრწყინავდნენ ცნობილი სოპრანოები, გ. ვიშნევსკაია და თ. მილაშკინა, მაყვალას ნიჭის უდავოდ დიდი დაფასება იყო. მაყვალას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის მათ ღირსეულად ამოიუდგა მხარში, ღირსეულადვე დაიცვა ქართული საშემსრულებლო კულტურის ტრადიციები...

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი თეატრის დასში მომღერლის მიწვევა მათი ხელოვნების ყველაზე დიდი დაფასება და აღიარებაა: ეს რჩეულთა შორის მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ქართველი მომღერლები ყოველთვის ამშვენებდნენ დიდი თეატრის სცენას. აქ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ დავით ანდღულაძე და სერგო გოცირიძე, დიმიტრი მჭედლიძე და დავით ბადრიძე, დავით გამრეკელი, ზურაბ ანჯაფარიძე... რაც შეეხება ქართველ მომღერალ ქალებს, პირველად მაყვალას ხვდა წილად ეს ბედნიერება.

60-იან წლებს უკავშირდება მაყვალას მონაწილეობა შემოქმედებით პაექრობაში, სადაც დიდ წარმატებას აღწევს: ამიერკავკასიის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში პირველი პრემია; 1968 წელს, სოფიის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX საერთაშორისო ფესტივალზე — ვერცხლის მედალი; 1973 წელს მონრეალში, ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე — მეორე პრემია. სწორედ აქედან დაიწყო მისი საყოველთაო აღიარება, მისი ხელოვნების დიდი დაფასება... ხოტბის გამომხატველი ბევრი სიტყვა უთხრეს ქართველ მომღერალს საბჭოთა თუ უცხოეთის პრესაში...

„ქასრაშვილის მომხიბლაობა უპირველესად მისი ბუნების პოეტურობაში უნდა ვეძიოთ. ყოველ მის ფრაზას მოაქვს მხატვრული განცდის დიდი სამყარო. იგი მსმენელს თითქოს უზიარებს ამ სამყაროს აღმოჩენას. მისი ხმის თვისებები ზუსტად შეესატყვისება მისი გრძნობების მოდალობებს. ამ მხრივ, ის ჰარმონიის გამომხატველია, ჰარმონიისა, რომელიც განცდასა და გადაცემას შორის ორგანულად არის შერწყმული. ეს ხიბლავს მსმენელს, რადგან ასეთი შეხამების დროს არავითარი ძალდატანება არ იგრძნობა ემოციაზე, ყველაფერი უშუალო და გულწრფელია. ვოკალისტისთვის ნიჭის ეს თვისება თანდაყოლილია. ამას თუ დავუმატებთ მის მხატვრულ დისციპლინას, მის ძიებებს ვოკალური ტექნიკის სფეროში, მის შრომისუნარიანობას, გასაგები გახდება, თუ რატომ ვხედავთ ქასრაშვილს მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის პროცესში. მისი საერთაშორისო აღიარება ამ ყველა უპირატესობის შედეგია". — აღნიშნავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი მომღერალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ხოდარ ანდღულაძე.

„მ. ქასრაშვილის სახით ჩვენ მაღალი კლასის მომღერალი გვყავს, რომელსაც ხელეწიფება რომელიც გნებავთ ტექნიკური სირთულე. იგი თავისუფლად გრძნობს თავს როგორც საოპერო, ისე კამერულ რეპერტუარში. ეს ჭეშმარიტი მუსიკოსი (ამ სიტყვის ყველაზე ღრმა გაგებით) დაჯილდოებულია შემოქმედებითი გარდასახვის დიდი უნარით, თუმცა, იგი კვლავ რჩება ლირიკული პლანის მომღერლად, რომლის სტიქიაა შინაგანი ექსპრესიითა და უფაქიზესი სულიერი ნიუანსებით გამსჭვალული მუსიკა. აქ მისი სიმღერა განუმეორებელ სისპეტაკეს, კდემამოსილებას აღწევს. მომღერლის ლამაზი, „მოვერცხლისფრო" ტემბრის ხმა თვით ყველაზე მაღალ რეგისტრშიც კი არ კარგავს კეთილშობილურ სითბოსა და სირბილეს", წერს მუსიკისმცოდნე, გულბაათ ტორაძე.

დღეს მ. ქასრაშვილი დიდი თეატრის გამოჩენილი სოლისტია. მსახიობმა უკვე 20-მდე საოპერო პარტია განასახიერა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მის დეზდემონასა („ოტელო") და ტატიანას („ევგენი ონეგინი"), იადას („აიდა"), ვიოლეტას („ტრავიატა"), თამარს („მთვარის მოტაცება")... და მაინც, განსაკუთრებულია ქასრაშვილი-დეზდემონა... სოტკილავა-ოტელოსთან ერთად. მან შექსპირის გმირის ჭეშმარიტად ადეკვატური მუსიკალური პორტრეტი გამოძერწა, რის გამოც ყოველი სპექტაკლი ხელოვნების ნამდვილი დღესასწაულია, ტრიუმფია.

მაყვალა ქასრაშვილი ფართო კამერულ შემსრულებლობასაც ეწევა. ერთნაირი მომხიბლაობითა და ოსტატობით, ნაწარმოებთა არსში ღრმა წვდომით ასრულებს შუბერტისა და ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, დე ფალიას, გერშვინის, ო. თაქთაქიშვილისა, ა. მაჭავარიანის და სხვათა რომანსებსა თუ სიმღერებს, ვოკალურ ციკლებს... მაყვალა ჩინებულად გრძნობს ავტორთა სტილს, წერის მანერას, ეროვნულ სულს, გულწრფელად გადმოსცემს ნაწარმოებთა თავისთავადობას, განუმეორებლობას, ეროვნულ სურნელებას... დიახ, სურნელებას, რომელსაც ასე ხარბად ეწაფება მომღერალი და მსმენელსაც უწილადებს ხოლმე.

მ. ქასრაშვილი უზარმაზარ რეპერტუარს ფლობს. იგი ხშირი და სასურველი სტუმარია საკონცერტო ესტრადისა, რადიო-ტელევიზიისა...

ამასთანავე მ. ქასრაშვილი ბევრს მოგზაურობს. მისი მოსმენა ნამდვილი დღესასწაულია. ტრიუმფი ხვდა მის გამოსვლებს იტალიასა და საფრანგეთში. გერმანიასა და ინგლისში, ამერიკაში...

დღეს ქართველ მომღერალს შემოქმედებითი ხანა უდგას და კვლავაც ბევრ სიხარულს მოგვანიჭებს...

**ეთერ ლონდარიძე,**
მუსიკათმცოდნე.

## პლენუმმა მოიწონა დიმიტროველთა თაოსნობა: გავხდეთ დარგში საუკეთესო!

# როცა მიზანი ერთია...

ახალგაზრდა მუშათა კადრების აღზრდის შესანიშნავი სკოლაა სასწავლო საამქრო, რომელიც თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში პროფკავშირულ აქტივისტთა ინიციატივით შეიქმნა. მას საწარმოში სულ უფრო ხშირად უწოდებენ კადრების სამჭედლოს, და ეს გასაგებიც არის: აქ ოსტატდება და კვალიფიკაციას იმაღლებს მომავალი ცვლა — ქარხნის საბაზო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რამდენიმე ჯგუფი.

სასწავლო საამქრო ახალი ჩარხებითა და დანადგარებით არის აღჭურვილი, მეცადინეობას დამრიგებელთა საბჭოს საუკეთესო წევრები, ნოვატორი სპეციალისტები, საკადრო მუშები ატარებენ, ცხადია, მათი გამოცდილება ფასდაუდებელია მომავალი თაობისათვის.

დიმიტროველთა ამ გამოცდილებას მომავლის გამოცდილება შეიძლება ვუწოდოთ, ის ხომ პერსპექტივისათვის არის გათვალისწინებული და ერთ დიდ მიზანს ემსახურება; რადაც უნდა დაუჯდეთ, უახლოეს წლებში მიაღწიონ საკავშირო სტანდარტების დონეს.

დიმიტროველთა ეს სწრაფვაც გასაგებია: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმზე აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების მართვა და საშუალო საკავშირო მაჩვენებლების დონემდე მათი აყვანა უზარმაზარ რეზერვებს შეიცავს. აქვე დაასახელეს საკმაოდ სოლიდური ციფრი — 70 მილიონი მანეთის პროდუქცია, რომელიც დამატებით შეგვიძლია მივიღოთ, თუკი მანქანათმშენებლობაში მარტოოდენ ერთ მაჩვენებელს — ცვლიანობის კოეფიციენტს საკავშირო საშუალო დონეს გავუტოლებთ, დიმიტროვის საავიაციო ქარხნის სოციალური განვითარების გეგმა ყოველი რგოლის წინსვლის ორიენტირად სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად, და კადრების ცვლის მომზადების გამოცდილებაც, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ამ მთავარ მიმართულებას ემსახურება.

— ცხადია, ჩვენი საწარმოები გეზს უკვე არა საშუალო რესპუბლიკურ, არამედ უწინარეს ყოვლისა, საშუალო საკავშირო სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე უნდა იღებდნენ. მაგრამ ამისათვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, თუ შეიძლება ითქვას, წინასწარ უნდა შემზადდეს, — გვითხრა საუბარში საწარმოს ნოვატორმა მუშამ, ახალგაზრდობის უპირველესმა დამრიგებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა ტრიფონ როსტიაშვილმა, — საჭიროა ყველგან, ყველა უბანზე გაძლიერდეს სახელმწიფო დისციპლინა, აღიკვეთოს ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევები, ამაღლდეს წარმოების კულტურა, საერთოდ დაიხვეწოს შრომის ორგანიზაცია და, რა თქმა უნდა, აუცილებელია მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის კადრები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ საუკეთესო მაჩვენებლებზე...

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის საპატიო ტრიბუნიდან ითქვა, ბევრი საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო უკვე სავსებით მომწიფდა საიმისოდ, რომ მიაღწიოს დარგის საუკეთესო მაჩვენებლებს. ასეთ საწარმოთა შორის უპირველესად დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი დაასახელეს, მისი გამოცდილება კი სხვებს სამაგალითოდ დაუსახეს. აქ ისიც ითქვა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში ასეთი მიდგომა განმსაზღვრელი უნდა გახდეს, რადგან დიმიტროველთა ინიციატივა მომავლისკენ არის მიმართული და მომავალს ემსახურება.

— ყველაფერი, რაც ჩვენს უზარმაზარ საწარმოში გაკეთდა, — განაცხადა ტრიფონ როსტიაშვილმა, — დიდი შრომისა და თავდადების ნაყოფია, ეს დიდი წარმოების კულტურაც, პროდუქციის საუკეთესო ხარისხიც, შრომისა და დასვენების დიდებული პირობებიც იმიტომ გვაქვს, რომ კოლექტივის ინტერესებს ყველაზე წინ ვაყენებთ.

დიმიტროველთა სახელოვანი კოლექტივის 70 პროცენტი ახალგაზრდობაა, მუშების საშუალო ასაკი 33 წელს არ აღემატება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაღალხარისხოვანი და ეფექტიანი მუშაობის ტრადიცია, რომლის თაობაზეც ტრიფონ როსტიაშვილი საუბრობდა, არათუ წარმატებით გაგრძელდება, არამედ ბევრად უფრო უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწევს. სასიხარულო და მისასალმებელია ისიც, რომ დიმიტროველთა კოლექტივის სამოქმედო მიზანი ზღვარი არ არის, აქ ყოველთვის დიადი იდეალებისაკენ მიისწრაფვიან.

ეს სწრაფვა უდევს საფუძვლად ახალგაზრდობის თაოსნობას — ყოველთვის მიაღწიონ ყოველ სამუშაო ადგილზე მუშაობის საუკეთესო ხარისხისა და მაღალი საწარმოო ეფექტიანობისათვის. ეს სწრაფვა ასაზრდოებს იმ ენთუზიაზმს, რომლითაც საწარმოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კომპლექსურ კოლექტივებს ქმნიან. ბრიგადებში, კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებში თავს იყრიან უნივერსალი ნოვატორი მუშები, რომლებიც თითქმის ყველა პროფესიას არიან დაუფლებული. ისინი მაგალითს იღებენ ქარხნის ნოვატორი მუშებისაგან. სწორედ ტრიფონ როსტიაშვილის თაობა უნერგავს მათ კოლექტიური შრომის ჩვევებს, ასწავლის თაოსნობის და ინიციატივის გამოჩენას, თვითონ უჩვენებს შეუპოვრობას, სიბეჯითეს. კომპლექსური, სხვადასხვა სპეციალობის მუშებისაგან შექმნილი კოლექტივები კი მომავლის კოლექტივებია, რომლებმაც ახლებური, თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი აღმავლობის გზაზე უნდა დააყენონ ჩვენი სამეურნეო მექანიზმი, ერთ-ერთი მთავარი რეზერვი უნდა გახდნენ დარგში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის.

— როგორ იღებენ ახალბედა მუშას თქვენს საწარმოში? ტრიფონ როსტიაშვილს ჩვენი ეს კითხვა არ გაჰკვირვებია. 19 წლის წინანდელი ამბავი გაიხსენა:

— აქ პროფტექნიკუმიდან, ოცდამეთვრამეტე სასწავლებლიდან მოვედი. გამიჭირდა, რადგან ჩვენი საწარმო სპეციფიკური საწარმოა, რთულია აქაური ტექნოლოგიური ოპერაციები, მაგრამ გვერდში მაშინვე ამომიდგნენ ერთგული, კაცთმოყვარე, პროფესიის უსაზღვროდ მოტრფიალე ადამიანები, და გაჭირვება აღარ მიგრძვნია. ამიტომაც ვუმადლი ჩემს პირველ დამრიგებლებს მიხეილ ოვსეპიანს და ნიკოლოზ დუბროვს. მე მათგან ვისწავლე, თუ როგორ უნდა უერთგულო საქმეს და როგორ უნდა გადასცე ცოდნა სხვას საერთო საქმის სასარგებლოდ.

— როგორ შეგხვდნენ საწარმოში? — ვკითხეთ საწარმოს კომპლექსური ბრიგადის ახალგაზრდა ხელმძღვანელს ოთარ წურწუმიას.

— სამახსოვრო დღე იყო. ოსტატმა არჩილ ციხისელმა სწორკუთხედის გამოჩარხვა დამავალა. ახლა ეს საქმე ჩემთვის იოლია, მაშინ კი, ცხადია, გამიჭირდა. დავამზადე, მაგრამ ვაი იმისთანა დამზადებას, რომ იტყვიან, ჭირის ოფლი გამდინდა! ოსტატმა გამიღიმა და მითხრა: „დაიღალე? არა უშავს, ეგ სასარგებლოა, დეტალი კი მაინცდამაინც ვერ გამოგსვლია კარგი, თუმცა, მოიცა, მგონი არაუშავს, მაგრამ ახლა ეს სულაც არ მაინტერესებს. მოდი ერთი შეგხედო, ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, მომეწონა, რომ საქმე გულთან მიიტანე და ასე ბეჯითად გაისარჯე.“ აი ეს არის მთავარი! არჩილ ციხისელი საამქროში ერთ-ერთი საუკეთესო ზეინკალი იყო და მისმა სიტყვებმა ფრთები შემასხა.

ასევე გულთბილად შეხვდნენ საწარმოში ოთარ წურწუმიას თანატოლებს — ასობით ახალგაზრდას და ამ ახალგაზრდებმაც იმედები გაამართლეს — 4-5 თვის შემდეგ ისეთი რთული დატვირთვის დეტალების დამზადებას შეუდგნენ, რომლებიც აქამდე მხოლოდ უაღრესად გამოცდილ ზეინკლებს ხელეწიფებოდათ. აი, ასეთი ახალგაზრდებისაგან შეიკრიბა ახალგაზრდულ-კომკავშირული თუ ინტერნაციონალური კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც ახლა საწარმოში ტონს აძლევენ შეჯიბრებას დარგში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის. ამ შეჯიბრების პირობები მოიცავს როგორც სამუშაო ნორმების ზრდას, ისე წარმოების მოცულობის მატების ტემპის დაჩქარებას. ორიენტირად აღებულია საშუალო საკავშირო და დარგის საუკეთესო მაჩვენებლებზე გასვლა, სწორედ ეს არის გადამწყვეტი პირობა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმის საპატიო ტრიბუნიდან შეჯიბრების შედეგების შეჯამების დიმიტროველთა გამოცდილება სხვებს სანიმუშოდ და მისაბაძად დაუსახეს.

დიდია შეჯიბრების ძალა, დიდია იმ კოლექტივის შრომის ნაყოფი, რომლის წევრებსაც ერთი მიზანი ამოძრავებთ: მეტს მიაღწიონ, დღეს უკეთ იშრომონ ვიდრე გუშინ, ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს. ამ საქმეში ღალატი არ შეიძლება, დევიზი კანონია: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.

რ. ჭელიძე

## აია

აია...
წლებმა წაიღეს სევდა,
კვლავ მზენათელი გახდა ქუჩები,
და თუ დღეს თამამ სიმღერას ვბედავთ
ღმერთმა იცოდეს,
არ ვართ უჩვევი...
თუ ისტორია
ჩუქურთმით ქარგავს
შენს ლამაზ ცას და
გელათის სივრცეს,
დღე დღევანდელი
გუშინდელს არ ჰგავს,
დღე დღევანდელი
სხვა ელფერს იძენს!
დაჰქრის კოლხური ავტომობილი,
შრიალებს გზები
ფრთამალ ფიქრებად,
ამღერებული,
ცას დანდობილი,
პოეტის ჩუმი ლოცვაც მიჰყვება!
გაზაფხულები
ლალი ზვირთებით,
რომ ახმოვანებს
ჩემს თბილ სიმღერას,
აია,
მზით და მწვანით ირთვები,
აია,
ცოცხლობ,
მიჰქრი,
მიღელავ!

ნაზი ხელაია



სასურსათო საქონელმცოდნეობის განყოფილების
მოსწავლე ლარისა დაუთაშვილი ხილბოსტანვაჭრობის მაღაზიაში

17486

# დახლში რომ იდგეს ღიმილი მზიანი...

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი დედაქალაქის ლენინის სახელობის მოედანზე უნივერმაღი „თბილისის“ ორიგინალური შენობა რომ წამოიმართა, ვაჭრობის დარგის მესვეურთა მრავალ საზრუნავს ერთიც დაემატა: სასწრაფოდ, ვიდრე უნივერმაღი საექსპლოატაციოდ გადაეცემოდა, რამდენიმე ათეული გოგონა დახლის მუშაკად მოემზადებინათ.

ახალ უნივერმაღს დიახაც რომ დაამშვენებდა გოგონათა უზადო ღიმილი და დაუზარელი, ხალისიანი მომსახურება. ალბათ, ამას ითვალისწინებდნენ კიდეც, როცა უნივერმაღის კარი ფართოდ გაუღეს დედაქალაქის დაწესებულებებიდან მოხალისედ მოსულ ახალგაზრდობას. მათ სახელდახელოდ შეასწავლეს ვაჭრობის წესები და ეს მშვენიერი გოგონები, უნივერმაღის გახსნის დღიდანვე, მომხმარებელთა გულის საამებლად თავს არ იზოგავდნენ. იმ დროისათვის ახალბედა ამ მუშაკებიდან დღესაც ბევრი შემორჩა „თბილისს“ და ახლა, რომ იტყვიან, ისინი დიპლომიან თანამოსაქმეებს ტოლს არ უდებენ, კარგა ხანია გამოცდილებად ითვლებიან და თვით მზრუნველობენ იმათ, ვინც დღეს პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამს ვაჭრობის რთულ, მაგრამ მეტად საჭირო, მშრომელთათვის აუცილებელი დარგის ბილიკებზე.

დამრიგებლებიც და ახალბედებიც ერთი აზრისანი არიან: ვაჭრობის მუშაკები იმ განსაკუთრებულ პროფესიათა სიაშია, რომლებიც მუდმივ კონტაქტშია საზოგადოებასთან, რომ მათს პროფესიულ დაოსტატებას ის მადლიც უნდა ეცხოს, სხვებისთვის სიხარული, სინათლე და სიამე რომ მოაქვს.

— ადამიანს სულ ცოტა რამ, თუნდაც ძალზე უმნიშვნელო სულსაც აუმღერებს, გულსაც აუთრთოლებს და სევდასაც მოჰგვრის, — გვეუბნება ქ. თბილისის ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორი ბ. კოტრიკაძე. — ადამიანთა ურთიერთობის ხელოვნება გვინდა სწორედ შევასწავლოთ აქ, ჩვენს აღსაზრდელებს; მათ, ხვალ ჩვენი დახლები უნდა დაამშვენონ კეთილშობილებით, საქმის ოსტატობითა და ადამიანებთან, მომხმარებლებთნ ახლობლური, გამგებიანი ურთიერთობით...

როცა ტექნიკუმის სასწავლო ბაზა დავათვალიერეთ, ნამდვილად დავრწმუნდით მიზნის სიცხადეში; თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მომავალი დახლის მუშაკი იყოს მაღალი პროფესიული ოსტატობით შემკული სპეციალისტი, კარგი, განათლებული მოქალაქე და მოაზროვნე პიროვნება, ამიტომ აღწევენ ტექნიკუმის კურსდამთავრებული გოგონები დიდ წარმატებებს შრომით სარბიელზე. უნივერმაღ „თბილისში“ თავი გამოიჩინა კურსდამთავრებულმა ი. ჯოხაძემ, რომელიც რამდენჯერმე დაჯილდოვდა სიგელებით, არის კომუნისტური შრომის დამკვრელი, მოწინავე კომკავშირელი მუშაკი, ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი, აქვე თავი ისახელა ქ. ნიკლაურმა, რომელიც კალინინის რაიონის მშრომელებმა რაისაბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს.

ტექნიკუმში სასწავლებლად მოსულებს შესანიშნავ პედაგოგ-მასწავლებლებთან ერთად სწორედ ასეთი მაგალითები უკვალავენ ცხოვრების გზას. არჩეული პროფესიისადმი ერთგულება განსაზღვრავს კადრების საიმედოობას.



ქ. მარქსის სახ. ... სსრ
სახელმწიფო ... ბიბლ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენ ამ დაი_ში! ოჯახურ თათბირზე დედაჩემმა ასე დამარიგა: შვილო, ისეთი რამ შეისწავლე, ცხოვრებაში გამოგადგესო. სიფაქიზე, სი უფთავე ხომ ქალების დამახასიათებელი თვისებაა და თუ ამას გემოვნებასაც დავუმატებთ, მე მგონი, კაცებმა ვერ უნდა გვაჯობონ...

შედავება შეუძლებელია. ქალი ოჯახში, სურს თუ არა, ისედაც ტრიალებს სამზარეულოში და თუ ამას დაემატა მისწრაფება საზოგადოებასაც გამოადგეს ამ საქმეში, ამაზე უკეთესი რაღა იქნება! ლიას თავისი მიზანი ბევრად უფრო დაუახლოვებია ცხოვრებასთან, საზოგადოებაში საკუთარი ადგილი და გარემო მოუნიშნავს და გულდაგულ მიჰყვება არჩეულ გზას. დასაწყისისათვის ისიც საამაყოა, რომ ტექნიკუმის მოსწავლე-გოგონების ნახელავმა კულინარულ გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

ტექნიკუმის მოსწავლეები ბოლნისელი ელენე რეხვიაშვილი, გურჯაანელი ვერიკო ზირაქიშვილი, თბილისელი მზია ჩიხლაძე, სიღნაღელი ლია ჯავაშვილი, თელაველი მზია კარატიელი და მრავალი მათი მეგობარი უკვე თბილისის სამრეწველო და სასურსათო მაღაზიებში გადიან პრაქტიკას, იძენენ შრომითს ჩვევებს, ცხოვრებაში გააქვთ ის ცოდნა, რასაც მათ პედაგოგ-მასწავლებლებმა აუდიტორიებსა თუ სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებში აზიარეს. ან კი, როგორ შეიძლება არ აითვისო მასალა სავაჭრო საწარმოთა საქმიანობის ეკონომიკასა და დაგეგმვაში, როცა ასე გასაგები ენით და თავისი ხელით დამზადებული თვალსაჩინოებით გადმოსცემს მას პედაგოგი-ენთუზიასტი ვაჟა ცხვედიაშვილი; როგორ შეიძლება გილალატოს ეთიკამ, როცა მას გასწავლის ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი კარლო ბლაგიძე, მრავალ ადამიანურ თვისებით შემკული აღმზრდელი; როგორ შეიძლება შეგეშალოს რაიმე, როცა პრაქტიკული ჩვევები გაგივლია იმ კაბინეტში, რომელსაც მოსწავლეები უბრალოდ „სამზარეულოს" უწოდებენ, სინამდვილეში კი საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგიური სპეციალობის განყოფილების გამგის ჯუმბერ კახაბრიშვილის, ტექნოლოგ-მასწავლებლის ვანდა ჯიოევას და სხვათა გარჯით იგი თანამედროვე ტიპის სამზარეულო-სასწავლო ლაბორატორია გახლავთ. ანდა, როგორ შეიძლება არ გიყვარდეს შენი ქვეყანა, შენი ხალხი და არ ემსახურო მათ თავდადებით, როცა ამ თვისებებს გულში ჩამწვდომად გინერგავს დოდო შუბითიძე, რომელსაც მოსწავლეები სიყვარულით დოდო მასწავლებელს უწოდებენ; არ გიყვარდეს სილამაზე, როცა შთაგაგონებენ: ვაჭრობის მუშაკები ყველაზე ახლო დგას ადამიანებთან, იგი თავის მაღაზიის გარდა მთელი საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენელიც არისო!

მარგო დიაკონიძე



ტექნიკუმის ტექნოლოგიური განყოფილების გამგე ჯ. კახაბრიშვილი და გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე დ. შუბითიძე მოსწავლეებთან.

**მეორეკურსელი მანანა ბელქანია:** — სოფელ კელასურიდან ვარ. ტექნიკუმში ჩემი ძმის ემზარის რჩევით მოვედი. იგი წელს ამთავრებს საზოგადოებრივი კვებისა და მანქანა-დანადგარების განყოფილებას. მომწონს არჩეული პროფესია, ვსწავლობ ფრიადზე. მიყვარს მხატვრული ლიტერატურა. ტექნიკუმს კარგი ბიბლიოთეკა აქვს, წიგნები იქიდან გამომაქვს.

— ადამიანის რა თვისებებს აფასებთ?

— ურთიერთგაგების უნარს, თავდადებას, გულისხმიერებას.

მანანას თავად არ აკლია ეს თვისებები, ამიტომ აირჩიეს იგი ჯგუფის პროფორგად.

თბილისელი გოგონა ლია ჯავახიშვილი ტექნიკუმში რვა კლასის დამთავრების შემდეგ მოვიდა. უყვარს მუსიკა, პოეზია, მონაწილეობს პოეზიის საღამოებში, ფერწერის, სიმღერის კონკურსებში. მის ჯგუფში 11 გოგონაა, ყველანი ტექნიკუმის ანსამბლის „თვალთაის" წევრები არიან.

— მხატვრული თვითმოქმედების მეათე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ჩვენმა ანსამბლმა I ხარისხის დიპლომი მოიპოვა, ხოლო ყვავილების დღესასწაულზე, რაიონულ დათვალიერება-კონკურსში — III ხარისხის დიპლომი. — გაღებული წვლილის სიხარული ალაპარაკებს გოგონას.

— ვაფასებ ადამიანის უბრალოებას და ნებისყოფას, — სერიოზულად ამბობს ლია ომაძე, რომელმაც დედისეული პროფესია აირჩია და სამრეწველო საქონელმცოდნეობის განხრით სწავლობს.

— მინდა ყველა მაღაზია ლამაზად იყოს მოწყობილ-გაფორმებული. გამყიდველები კი აგვირგვინებდნენ ამ სილამაზეს თავიანთი გულთბილი, თავაზიანი დამოკიდებულებით მომხმარებლებისადმი. — ეს სიტყვები მეორეკურსელს, ქვემოქედელ (წითელწყარო) თინათინ მახაურს ეკუთვნის. და ეს არ გახლავთ პათეტიკა! მას, მშვენიერ კახეთსა და მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილს, კარგად ესმის სილამაზის და გულისხმიერების ფასი, ესმის ისიც, რომ უანგარობა და პატიოსნება იმ ადამიანურ თვისებათაგანია, რომელიც ყველაზე მეტად ფასობს ამ ქვეყნად.

— რატომ აირჩიეთ ეს პროფესია? — ვეკითხებით ტექნოლოგიის მესამე კურსის მოსწავლეს ლია კოშაძეს.

— აბა, სულ მამაკაცები ხომ არ იმუშავებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქალთა კეთილდღეობისათვის

პარტიის XXVI ყრილობაზე დამტკიცებული სოციალური პროგრამის შესაბამისად, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება ბავშვებიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერებისა და მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების წესისა და ვადების შესახებ.

ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულია შემდეგი სიახლე:

მომუშავე დედებისათვის, რომელთა საერთო შრომითი სტაჟი ერთ წელზე ნაკლები არ არის, აგრეთვე ქალებისათვის, რომლებიც წარმოების მოწყვეტით სწავლობენ, შემოღებულ იქნება ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოსავლელად, სანამ იგი ერთი წლისა გახდებოდეს, შვებულების ანაზღაურებით შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის რაიონებსა და ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ყოველთვიურად 50 პროცენტის ოდენობით, ხოლო დანარჩენ რაიონებში — ყოველთვიურად 35 მანეთის ოდენობით.

ამ ღონისძიების განხორციელება გათვალისწინებულია ეტაპობრივად, 1981 წლიდან დაწყებული შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთის, ხოლო შემდგომ — ქვეყნის სხვა რაიონებში. ჩვენს რესპუბლიკაში კანონი მსგავს შემთხვევაში ნაწილობრივი ფასიანი შვებულების ანაზღაურების შესახებ ძალაში შევა 1983 წლის 1 ნოემბრიდან.

დეკრეტული შვებულების ნაწილობრივად ანაზღაურებისას ერთდროულად მომუშავე ქალებს უფლება ეძლევათ მიიღონ დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად, სანამ იგი წლინახევრისა, შემდეგ კი ორი წლისა გახდებოდეს, ამასთან შეენახებათ უწყვეტი შრომის სტაჟი და სპეციალობით მუშაობის სტაჟი.

მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში გაფართოვდება საბავშვო ბაღებისა და ბაგების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

საბავშვო ბაგების, ბაგა-ბაღების, ბაგის ჯგუფებისა და ბავშვთა სახლების კვალიფიციური კადრების მოსაზიდავად გადაწყდა, მეთერთმეტე ხუთწლედში გავრცელდეს ამ დაწესებულებებში მომუშავე მედდებზე საბავშვო ბაღების აღმზრდელებისათვის დაწესებული 6-საათიანი სამუშაო დღისა და 36 დღიანი შვებულების გახანგრძლივება.

მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია გაიზარდოს სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ხარჯის ნორმები საშუალოდ 10-15 პროცენტით და მოეხსნას გადასახადი იმ ოჯახებს, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი თითოეული ოჯახის წევრზე არ აღემატება 60 მანეთს.

1981 წლიდან დაწყებული, მომუშავე ქალებს, რომლებსაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ორი ან მეტი შვილი, დამატებით ეძლევათ 3-დღიანი ანაზღაურებული შვებულება, ისე, რომ შვებულების საერთო ხანგრძლიობა არ აჭარბებდეს 28 კალენდარულ დღეს.

1981 წლის დეკემბრიდან, მარტოხელა დედებს გაუდიდდათ სახელმწიფო დახმარება თვეში თითოეულ ბავშვზე 20 მანეთამდე და იგი გაიცემა სანამ ბავშვი 16 წლისა გახდებოდეს (ხოლო თუ მოსწავლეა და სტიპენდიას არ იღებს — სანამ 18 წლისა გახდებოდეს). დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით დახმარება გაიცემა მხოლოდ ბავშვის 12 წლის შესრულებამდე და ინიშნება ერთ ბავშვზე 5 მანეთის ოდენობით, 2 ბავშვზე — 7 მან. და 50 კაპ. ხოლო 3 და მეტ ბავშვზე 10 მანეთის ოდენობით თვეში.

1981 წლიდან დაწესდა დამატებითი შეღავათები პენსიის დანიშვნის დროს იმ ქალებისათვის (არასრული ასაკის სტაჟით), რომლებმაც აღზარდეს 5 ან მეტი შვილი, ან ბავშვობიდან ინვალიდი ბავშვი. აღნიშნულ პირებს არასრული სტაჟით პენსია დაენიშნებათ ყველა შემთხვევაში, თუ აქვთ არანაკლებ 5 წლის საერთო შრომის სტაჟი, სულ ერთია როდის მიაღწიეს პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკს, მუშაობის პერიოდში თუ მისი შეწყვეტის შემდეგ და, პენსიის დასანიშნავად მიმართვის წინ, აქვთ თუ არა 3 წლის განუწყვეტელი შრომის სტაჟი.

მე-11 ხუთწლედში ბევრი სხვა ღონისძიებაც არის გათვალისწინებული:

ბავშვებიან ოჯახებს და 30 წლამდე ასაკში ახალდაქორწინებულებს მეტი უპირატესობა მიეცემათ სახელმწიფო საცხოვრებელი ფართის მიღებისას, აგრეთვე ინდივიდუალური და კოოპერატიული საბინაო მშენებლობისას. გადაწყვეტილია აგრეთვე ახალდაქორწინებულებს აღარ გადაახდევინონ მცირე ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადი მათი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში;

თუ 30 წლამდე ასაკის დაქორწინებულ მეუღლეებს ერთი ბავშვი მაინც ჰყავთ და მეუღლეთა შორის რომელიმეს აქვს ერთ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან კოლმეურნეობაში მუშაობის არანაკლებ 2 წლის შრომის სტაჟი და სამუშაო ადგილზე კარგად ხასიათდება, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად უფლება ენიჭება ისარგებლოს 1500 მანეთამდე უპროცენტო სესხით 8 წლის ვადით. თუ ახალდაქორწინებულ მეუღლეებს შეეძინებათ მეორე ბავშვი, იმ ვადიდან გადახდილად ჩაეთვლებათ 200 მანეთი, ხოლო მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაში — 300 მანეთი.

1981 წლიდან სტიპენდია ეძლევა უმაღლესი, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და პროფტექნიკური სასწავლო დაწესებულების ყველა სტუდენტსა და მოსწავლეს, რომელთაც ჰყავთ შვილი და აქვთ დადებითი აკადემიური წარმატება.

**ირინე ღლონტი,**
**საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს პენსიებისა და დახმარების სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

მეტი შვილი ნიშნავს მეტ ოჯახს, მეტ ჯარისკაცს, მეტ მეცნიერს, მეტ მუშას, მეტ მწერალს, მეტ დოვლათსა და სახელმწიფოს ძლიერებას.

ე. ა. შევარდნაძე

# წითელწყაროელი გმირი დედა



დიმიტრი ხუციშვილი წითელწყაროში 1958 წელს ჩამოსახლდა და მუშაობა დაიწყო საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ წითელწყაროს ფილიალის კირის ქარხანაში. შრომისმოყვარე ახალგაზრდა მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. 27 წლისამ ცოლად შეირთო 18 წლის ვალენტინა.

ერთი წლისთავზე გოგონა ეყოლათ, სიხარულმა იძალა ოჯახში, შრომა უფრო ხალისიანი გახდა, შვილების მოსიყვარულე დედამ მალე მეორე შვილიც აჩუქა მეუღლეს... 20 წლის განმავლობაში საამაყო წყვილმა 11 მოქალაქე შემატა სამშობლოს.

თერთმეტი შვილი, თერთმეტი ბედნიერება და სიხარული! მრავალშვილიან ოჯახს რაიონის ხელმძღვანელობამ ხუთოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა გამოუყო. დღეს უფროსი შვილი — ნათელა 20 წლისაა, სულ პატარა ვალერი კი ერთი წლისა. ნათელამ და ნადეჟდამ ოჯახები შექმნეს, მომდევნო ბიჭი გივი სოფელ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტია.

თერთმეტი შვილის მამა დიმიტრი ხუციშვილი ამჟამად მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის რეპროდუქტორის მუშაა და, ყველგან სადაც უმუშავია, აქაც მოწინავე მუშის სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობს.

ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით წითელწყაროელ თერთმეტი შვილის დედას — ვალენტინა ხუციშვილს „გმირი დედის“ საპატიო წოდება მიენიჭა და გმირი დედის ორდენი გადაეცა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გავესაუბრეთ მრავალშვილიან მშობლებს — ყველაზე სასიხარულო ის არის, — გვითხრეს მათ — რომ, შვილები კარგად გვყავს, მთავრობა კი ყოველგვარ დახმარებას გვიწევს მათს აღზრდაში. ამ ოთხიოდე წლის წინ ხუთოთახიანი ბინა მოგვცეს, ყოველწლიურად გვეხმარება ადგილკომი, ვიღებთ ყოველთვიურ დახმარებასაც.

ამჟამად დიმიტრი 50 წლისაა, ვალენტინა 38-ისა. გვჯერა ახალგაზრდა მშობლები ღირსეულ შვილებს აღუზრდიან ქვეყანას.

**უშანგი წყარუაშვილი,**
წითელწყაროს რაიონული გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქტორის მოადგილე.



# რაინდი ქალი

სახელოვანი ქართველი პოეტის, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, სილამაზითა და ნიჭით დაჯილდოებული ეკატერინე 1839 წელს სამეგრელოს უკანასკნელ მთავარზე დავით დადიანზე დაქორწინდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მალე დაქვრივდა, 42 წლის ასაკში დავით დადიანი გარდაიცვალა. ამ დროს, დაქვრივებული დედოფლის უფროსი ვაჟი ნიკო 7 წლისა იყო და ამიტომ ნიკოლოზ პირველმა სამეგრელოს სამთავროს მმართველად დედამისი ეკატერინე დანიშნა და წმინდა ეკატერინეს პირველი ხარისხის ორდენიც უბოძა.

ოსმალებთან ომიანობის რთული ვითარება იყო, მაგრამ ეკატერინე ენერგიულად განაგრძობდა სამთავროს მართვას, ხელს უწყობდა ჯარების გადანაცვლებას. მის მომარაგებას, მილიციის ჩამოყალიბებას. თავის მხარეში წესრიგს ინარჩუნებდა.

1854 წელი ყირიმის ნახევარკუნძულზე ცარიზმის მარცხით აღინიშნა. 11 თვის გმირული დაცვის შემდეგ სევასტოპოლიც დაეცა. კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე კი რუსთა მხედრობამ გამარჯვებები მოიპოვა, ოსმალეთის საველე არმია გაანადგურა და ყარსის ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყა.

1855 წელს ომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ყარსის გადასარჩენად, მოკავშირეებმა, ომერ ფაშას მეთაურობით, 45 ათასიანი კორპუსი გადასხეს აფხაზეთში. იგი სამეგრელოსკენ დაიძრა. მას წინ ედგა შედარებით სუსტი გურიის რაზმი, რომელსაც გენერალი ბაგრატიონ-მუხრანელი მეთაურობდა. ამ უკანასკნელს კი ცოლად ჰყავდა ეკატერინეს მული ნინო.

სამეგრელოში შესვლისას ომერ ფაშამ გავლენიანი პირების უპირველესად კი ეკატერინეს გადაბირება სცადა, რომლის დიდი ავტორიტეტი მოსახლეობაში მისთვის ცნობილი იყო.

ომერ ფაშამ, მისმა მოადგილემ ისკანდერ ფაშამ, ინგლისისა და საფრანგეთის აგენტებმა მეფრეიმ და ლონგოუტმა წერილებით მიმართეს ეკატერინეს, რომ ზუგდიდში დაბრუნებულიყო და სამთავროს მართვა-გამგეობა განეგრძო. რას არ შეჰპირდნენ, რა ღონისძიებებს არ მიმართეს, მაგრამ ამაოდ, დედოფალმა პასუხიც არ გასცა.

გენერალმა ბაგრატიონ-მუხრანელმა მდინარე ენგურზე პირველივე მარცხისთანავე სამეგრელო დატოვა და თავისი დაუდევრობა და ნაჩქარევი გადაწყვეტილება ადგილობრივ მოსახლეობას დააბრალა.

ამ დროს ეკატერინე სოფელ გორდში იყო, იქვე სტუმრად იმყოფებოდა მისი მული ნინო, რომელმაც იცოდა, რომ ენგურზე წაგებული ბრძოლა თავისი ქმრის ბრალი იყო და მრავალ საყვედურს იტანდა რძლისაგან.

ნინომ ქმრის წერილი მიიღო, რომელშიც იგი თავის მარცხს კვლავ სამეგრელოს პოლიციას აბრალებდა და დედოფლის გახიზვნას მოითხოვდა ლეჩხუმში. ის იყო, ეკატერინე თითქოს დაეჭვდა წერილის სიმართლეში, რომ მას ერთგული თავადები ეახლნენ და დედოფალს ბრძოლისათვის მზადყოფნა განუცხადეს. თავადმა ჩიქოვანმა კი დასძინა: „გთხოვთ, დედოფალო, გაგვიძღვეთ და გვიმეთაუროთო“. ეკატერინე ადგილზე დარჩა და სამშობლოს დაცვის პასუხისმგებლობა ითავა. დაუყოვნებლივ შექმნა მილიცია „უჩინარი რაზმები“ და პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა. ხალხის შურისძიება დღითიდღე იზრდებოდა, იგი ოსმალთა რისხვად იქცა. შექმნილი ვითარება ეკატერინემ კავკასიის კორპუსის მეთაურის მოადგილეს გენერალ ბებუთოვს აცნობა. იგი დასძენდა: „მე მზად ვარ ჩემი ძალებით თქვენს განკარგულებაში ვიყო, მზად ვარ ოპერაცია დავიწყო ოსმალთა წინააღმდეგ, ველოდები თქვენს განკარგულებას და თუ თქვენც გადამიდექით, მაშინ თვით გავუძღვები ჩემს ჯარს და როგორმე შევძლებ გავათავისუფლო ჩემი მხარე, მტერს შევაკლავთ თავს და მამულისათვის დამშვიდებული დავიხოცებით“.

1855 წლის ნოემბერში მთავრინა უკვე მილიციას ედგა სათავეში. ეკატერინე გენერალ ბებუთოვს სწერდა: „გუშინ თავადებთან და აზნაურებთან ერთად სოფელ ღანრისში, მოქმედ რაზმში ჩამოვედი, რომ პატივი მქონდეს ძლევამოსილ ჯარებთან ომის მთელი სიმძიმე გავინაწილო“. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნატორი გენერალ კოლუბიაკინი ვ. ბებუთოვს აცნობებდა: „სამეგრელოს მმართველმა დატოვა რა ბავშვები სოფელ მურში, ლეჩხუმის მილიციით მოქმედ რაზმს შეუერთდა, სადაც იგი მთელ პერიოდს დარჩება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ჯარებთან მისი ყოფნა უსათუოდ დადებით გავლენას მოახდენს სამეგრელოს მოსახლეობაზე“.

ამ დროს ყარსიც დაეცა. მილიცია და რეგულარული ჯარები ერთობლივ მოქმედებდნენ ომერ ფაშას კორპუსის წინააღმდეგ. ლაშქარს წინ მიუძღოდა ქალი — რაინდი, რომელმაც თვენახევარი ბრძოლებში გაატარა და ომის მთელი სიმძიმე გადაიტანა.

ერთ-ერთ წერილში საბრძოლო მოქმედების შესახებ მთავრინა ვ. ბებუთოვს აცნობებდა: სოფ. ნაგვაზაოდან მივდევდი რა მოწინააღმდეგეს, 28 დეკემბერს ბანძაში ჩავედი, დილით, 29-ში უკვე ნაქალაქევში ვიყავი, აქ სოფ. სორტასთან მიახლოვებისას ჩვენი მოწინავე ნაწილები მტერს დაეწია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯახების შედეგად მრავალი ოსმალო გაიჟლიტა. ბოროზდინის სიტყვებით, მთავრინა ხშირად იყო ბრძოლებში და უშუალოდ „განიცდიდა“ ტყვიების ზუზუნს. ფუფუნებაში ნებივრად აღზრდილი ქალი რიგით მილიციელებთან ერთად, ზამთრის მკაცრ და რთულ პირობებში, ხშირად წვიმაშიც, ამხედრებული ატარებდა მთელ დღეებს, ხოლო ღამეს გლეხის ქოხში ათენებდა“.

ომში ეკატერინეს დიდ დამსახურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი ყირიმის ომის საბრძოლო მედლის ღირსად სცნეს. ამ მედალს წმინდა გიორგის ჯვრის ორდენის ლენტზე ათავსებდნენ. ასეთ ჯილდოს კი მანამდე არცერთი ქალი არ ღირსებია იმპერიაში.

ომერ ფაშამ სამეგრელო დატოვა. პარიზის ზავით რუსეთის დამარცხება აღინიშნა, მაგრამ სამარცხვინო პირობებიდან იგი კავკასიაში გამარჯვებებმა იხსნა, რაშიც, აკადემიკოს ე. ტარლეს სიტყვებით. დიდი დამსახურება ადგილობრივ მოსახლეობას, უპირველესად კი, ქართველ ხალხს მიუძღვის. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა სამეგრელოს მილიციამ მთავრინას მეთაურობით.

კ. ბოროზდინის აღიარებით, „თავისი როლით ომერ ფაშას მიერ სამეგრელოს ოკუპაციის დროს მან (ეკატერინემ შ. მ.) სრული უფლება დაიმსახურა, რომ იგი რუსეთის ისტორიულ პიროვნებად მივიჩნიოთ“.

ეს საკმაოდ დიდი განცხადებაა ცარიზმის მოხელის მიერ, მაგრამ ჩვენი აზრით, ეკატერინე დადიანის დამსახურება ყირიმის ომის დროს, ომერ ფაშას საექსპედიციო კორპუსის წინააღმდეგ ბრძოლებში, კიდევ მეტ შეფასებას იმსახურებს.

ისტორიაში მანამდე იშვიათი იყო, რომ ომში ქალი მონაწილეობდა, მითუმეტეს, როდესაც იგი თავის ხალხს მეთაურობდა გარეშე მტრებთან ბრძოლაში.

1856 წელს, ალექსანდრე მეორის კურთხევის ცერემონიალზე, ოსმალებთან ბრძოლებში სახელგანთქმული სამეგრელოს მთავრინაც მიიწვიეს. იქვე გადასცეს მას ზემოაღნიშნული საბრძოლო მედალიც. ეკატერინე მალე დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ცარიზმს სამეგრელოს სამთავროს არსებობა ხელს აღარ აძლევდა და დავიწყებას მიეცა მისი დამსახურება. დედოფალი პეტერბურგს მიიწვიეს.

1867 წელს სამეგრელოს სამთავროს აღსასრულიც დადგა. შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას ეკატერინე ჩვეულებრივი ფეოდალის უფლებით ცხოვრობდა.

გმირი ქალი 66 წლისა გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, დადიანთა საგვარეულოს სავანეში.

**შ. მეგრელიძე,**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

# რჩევები

რძეში დასველებული სუფთა ფლასით შეგიძლიათ ამოიღოთ მელნის ახალი ლაქები, გაწმინდოთ სარკე, სურათების ჩარჩოები და მუსიკალური ინსტრუმენტების კლავიშები.

*

შარვლის ან სხვა ტანსაცმლის გაპრიალებულ ადგილებს გაუსვით ბრტყლად დაჭრილი კარტოფილი, შემდეგ გაშრობა აცალეთ და ჯაგრისით გაწმინდეთ.

*

ჭუჭყიანი ბოთლი იოლად გაირეცხება, თუ შიგ გახეხილ კარტოფილს ჩაყრით და ცხელ წყალს დაასხამთ.

სქელი ქსოვილი რომ იოლად გაიკეროს, ნემსს საპონი გაუსვით.

*

თეთრი მარმარილოს ნივთები კარგად გაიწმინდება, თუ ჯერ ლიმონის ნაჭერს გადაუსვამთ, შემდეგ კი ზეთში დასველებული რბილი ფლასით გადაწმენდთ.

*

სათვალის მინები ნაკლებად გაგიჭუჭყიანდებად, თუ კი მათ ჯერ გლიცერინის საპონს წაუსვამთ, შემდეგ კი სუფთა ფლასით გააკრიალებთ.

*

შალის ტრიკოტაჟი კარგად ირეცხება ლობიოს ნახარშში (ნახევარი კგ. ლობიო 3 ლიტრ წყალში მოხარშეთ, გაწურეთ და 40-40°-მდე შეაგრილეთ).

*

ძველი პური გაახლდება, თუ კი მას წყალს დაასხურებთ და 10 წუთს ცხელ ღუმელში შედებთ.

*

პური დიდხანს არ დაძველდება, თუ კი გვერდზე გაჭრილ ვაშლს ან გაჭრილ ხახვს დაუდებთ.

*

მაცივარში ქაღალდში შეხვეული ხორცის ფარშის 12 საათზე მეტხანს შენახვა არ შეიძლება.

*

ფარში უმჯობესია მინის, ფაიანსისა და მომინანქრებულ ჭურჭელში ჩადოთ და სახურავი ან თეფში დაახუროთ.

*

კარტოფილი უფრო გემრიელი და დაბრაწული გამოვა, თუკი შეწვამდე ფქვილში ამოავლებთ, თანაც შეწვის დროს ცხიმის შხეფები ნაკლებად გადმოცვივა ტაფიდან.

*

ყვავილოვანმა კომბოსტომ რომ ლამაზი, თეთრი ფერი შეინარჩუნოს, წყალს, რომელშიც იხარშება, დაუმატეთ ცოტაოდენი რძე (2 ლიტრ წყალზე ნახევარი ჭიქა რძე).

*

მაცივარში შენახული კარაქი გარკვეული დროის შემდეგ გემოს კარგავს. კარაქს რომ გემო დაუბრუნდეს შიგ ჩაარჭეთ გაფხეკილ-გარეცხილი სტაფილო და 3-4 საათს გააჩერეთ.

როცა ბრინჯაოსგან დამზადებული ნივთი ოდნავ დამუქდება, ეს ლამაზია, მაგრამ თუ დამუქება ზედმეტი მოუვიდა, შეგიძლიათ ქვემოთ აღწერილი რომელიმე წესი მოიშველიოთ.

— რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი ცოტაოდენ თბილ წყალში აურიეთ და მიღებული ხსნარი ბრინჯაოს ნივთს წაუსვით, შემდეგ გარეცხეთ თბილი წყლით და სუფთა ფლასით გაამშრალეთ.

— ძველი კბილის ჯაგრისი ლიმონის წვენში დაასველეთ — და ბრინჯაოს ნივთს თანაბრად გადაუსვით, შემდეგ თბილი წყლით გარეცხეთ და რბილი ფლასით გაამშრალეთ.

— თუ ბრინჯაო გამწვანდა, სუფთა ღვინის ძმრისა და მარილისაგან დაამზადეთ ხსნარი და კბილის ჯაგრისით წაუსვით. ეს ლითონის ჟანგვას შეაჩერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მამის ავტორიტეტი

შვილების აღზრდის საქმეში მთავარი დედაა. ოჯახში ამ საპატიო საქმეს ქალი ხელმძღვანელობს, რადგანაც ის უფრო ახლოა შვილებთან, მან უნდა ჩაუნერგოს ბავშვებს წმიდათა-წმიდა გრძნობები: გულწრფელობა, შრომისმოყვარეობა, უფროსების პატივისცემა, გამბედაობა, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, კაცთმოყვარეობა, ესთეტიკური გემოვნება.

დედამ უნდა შექმნას ოჯახში ბავშვთა აღზრდისათვის სასურველი გარემო. შვილები უნდა ხედავდნენ მშობლების კარგ დამოკიდებულებას, ურთიერთპატივისცემას, დედა უნდა უფრთხილდებოდეს თავისი მეუღლის ავტორიტეტს ოჯახში, მან ბავშვებთან ცუდად არ უნდა მოიხსენიოს იგი. ეს შელახავს მამის სახელს და მის სიტყვას, მშობლის დარიგებას შვილებში ფასი აღარ ექნება.

მე ყოველთვის ვუფრთხილდებოდი ჩემი მეუღლის ავტორიტეტს. პატარაობიდანვე შთავაგონებდი შვილებს მამის სიყვარულს, პატივისცემას, მორიდებას, დაჯერებას. როცა ბავშვები წარმატებას აღწევდნენ რაიმე საქმეში, მე გახარებული ვამბობდი: ეს ძალიან კარგია, მამას მოეწონება, მამას გაუხარდება. მაგრამ თუ რაიმეს დააშავებდნენ, მაშინვე მივუთითებდი, ვაძლევდი რჩევა-დარიგებას და თან ვამბობდი: ეს ცუდია, მამას ეწყინება. ბავშვების გულში თანდათან მტკიცდებოდა მამის პატივისცემა.

მამა დიდი ავტორიტეტია შვილების აღზრდის საქმეში, თუ ამას დედა ტაქტიანად გამოიყენებს.

როგორც კარგი მასწავლებელი ყოველ დანაშაულზე მოსწავლეს დირექტორთან არ შეიყვანს, ასევე შეგნებული დედა სამუშაოდან დაბრუნებულ მამას შვილს არ წარუდგენს თითოეული წვრილმანი დანაშაულისათვის. მამის ავტორიტეტული სიტყვა, მამის დარიგება უფრო მეტი საჭიროებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

ჩემს შვილებს ბედმა უმუხთლათ, მამა ადრე დაეღუპათ, მაგრამ მათში ისე ძლიერად იყო დანერგილი მშობლის სიყვარული, პატივისცემა, ხათრი, რომ ეს გრძნობა მათ ბოლომდე დარჩათ. ეს გრძნობა მათ უნათებდა ცხოვრების ძნელ გზას და ეხმარებოდა წარმატებების მიღწევაში.

მახსენდება ერთი ჩემი ნაცნობი ოჯახის ამბავი. ისინი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. დედ-მამა ახალგაზრდები იყვნენ. ჰყავდათ ქალვაჟი, რომლებიც დაწყებითს კლასებში სწავლობდნენ. დედა უჩიოდა მათ სიზარმაცეს, ეჩხუბებოდა, სცემდა კიდეც; საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულ მამას შემოსვლისთანავე უყვებოდა შვილების უწესრიგობას. დაღლილი მამა ვეღარ ითმენდა და ბავშვების ფიზიკურ დასჯას იწყებდა, განსაკუთრებით ბიჭს სცემდა, მიაბამდა მაგიდის ფეხზე და ეტყოდა, არ გაინძრეო. ისმოდა ბავშვის გულშემზარავი ტირილი. მერე გაივლიდა ხანი და ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა; ტირილის ნაცვლად მათი ბინიდან სიცილ-კისკისი, სიმღერა მოისმოდა: ყველას ყველაფერი ავიწყდებოდა, უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ამ დროს რომ მათთან შესულიყავით, ვერ გაარჩევდით, ვინ უფროსი იყო და ვინ უმცროსი, თითქოს ტოლები არიანო, ერთმანეთს ყველაფერს მოურიდებლად ელაპარაკებოდნენ.

მე როგორც კეთილის მოსურნე მეზობელი, ხშირად ვთხოვდი დედას, ნუ სცემთ ბავშვებს ასე სასტიკად, უფრო თბილად და შთაგონებით ელაპარაკეთ, მამას სამსახურიდან მოსვლისთანავე ნუ მოუყვებით ყველაფერს, ბავშვებთან ნუ გაითქვიფებით, თავი მუდამ მშობლის სიმაღლეზე გეჭიროთ.

ის თითქოს მომისმენდა, მაგრამ მეორე დღეს იგივე მეორდებოდა.

ბავშვები წამოიზარდნენ, მაგრამ არავისი აღარ სჯეროდათ, მშობლებმა მათ თვალში დაკარგეს ავტორიტეტი. ცემამ თავისი შედეგი გამოიღო და ბიჭი ფიზიკურად დაქვეითდა.

მამის ავტორიტეტი, კაცის სიტყვა როცა თავის სიმაღლეზეა ოჯახში, იქ ყველაფერი რიგზეა, მაშინ უფროსმაც იცის თავისი ადგილი და უმცროსმაც.

მ. ფრუიძე,

პედაგოგი. თბილისი

# ფრთხილად, ბავშვია!

ჩვენი ოჯახის შექმნას დიდი სიყვარული ედო საფუძვლად. გვჯეროდა ამ დიდ გრძნობას არასოდეს მიადგებოდა ჩრდილი. მაგრამ გავიდა წლები და ოჯახში მოწყენილობამ დაისადგურა. თითქოს ბზარი გაჩნდა. თითქოს სრულყოფილი არ იყო ჩვენი ბედნიერება. მიზეზი? მივხვდი, თურმე უშვილობა იყო. გადავწყვიტეთ ბავშვი აგვეყვანა. შევასრულეთ კიდეც ეს გადაწყვეტილება და მოხდა სასწაული: ამ პატარა, ერთმა ციცქნა ბიჭმა სულ შეცვალა ჩვენი ცხოვრება. თითქოს სახლის კედლებმა განზე გაიწიეს, ჭერიც ამაღლდა, ისევ დაიწყო ჩვენმა ოჯახმა სისხლსავსე ხალისიანი ცხოვრება. იზრდება ჩვენი ვაჟი და ყოველ დღეს, ყოველ საათს ახალი სიხარული და ბედნიერება მოაქვს...

იმ დღეს ჩემი მეგობარი თამილა მოვიდა, ცრემლები აღრჩობდა, ისე მიამბო: „გუშინ მეზობელთან ჩხუბი მომივიდა და სამსახურში რომ წავედი, იმ ქალბატონს თამრიკოსთვის დაუძახნია და უთქვამს, შენ მაგისი შვილი კი არა, ვიღაცის ნაბიჭვარი ხარო. შინ მოსულს ელდა მეცა. ბავშვი ტირილისაგან თვალებდასიებული დამხვდა. ორი დღეა ლუკმა არ ჩასვლია პირში. არც სკოლაში მიდის. აქვითინებული მეხვეწება მითხარი ვისი შვილი ვარო. რა არ ვიღონეთ მე და ჩემმა მეუღლემ, მაგრამ ამაოდ“...

თამილამ თხრობა რომ დაამთავრა, თითქოს სისხლი გამეყინა ძარღვებში. ჩემი თავი წარმოვიდგინე თამილას ადგილას. იმ დღიდან საშინელი ეჭვი ჩამისახლდა სულში. ეჭვი გულს მიღრღნის და დარდი მახრჩობს: ხომ შეიძლება, მეც გამომიჩნდეს ისეთივე „კეთილისმყოფელი“? მოგეხსენებათ კეთილისმყოფელნიც არიან ამ ქვეყანაზე!

მართალია საქორწინო და საოჯახო კოდექსის 117 მუხლით შვილად აყვანის საიდუმლოება კანონით დაცულია. ამიტომაც საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულებით კოდექსში შესულია სისხლის სამართლის 125 მუხლი. რაც ნიშნავს, რომ შვილად აყვანის საიდუმლოების გამცემი ისჯება ერთი წლით იძულებით მუშაობით ან ჯარიმდება 50-100 მანეთით. ხოლო იგივე მოქმედებას თუ მძიმე შედეგი მოჰყვა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე. ბოროტ ადამიანს, როგორც ჩანს არც ამ სასჯელის ეშინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა შემოქმედება

# გადაუღეთ სურათები ბავშვებს!

ძალიან მიყვარს და ცნობისწადილი არ მასვენებს ძველი სურათების ნახვისას. თითქოს დრო გაჩერებულა...

ოდნავ ფერშეცვლილი სურათებიდან მიღიმიან საგანგებოდ მორთული დიდები და პატარები. იღიმებიან, მაგრამ მაინც ღელავენ... მოულოდნელად სიცილიც კი მომინდება ხოლმე, მაგრამ არ ვიცინი. იქნებ ისინი ღიმილით უბედობას ან ტკივილს ფარავენ, ან დიდები გრძნობენ სიბერეს, რომლის იქით ალბათ აღარაფერია...

პატარა ფერშეცვლილი სურათიდან მიყურებს ბებიას ბავშვობა. ის არ იღიმება, ნაწნავები წინ გადმოუწყვია; მიყურებს სევდიანი ლამაზი თვალებით, ისეთივე ყურადღებით, როგორც მე მას. ვუყურებთ ერთმანეთს ასე ახლობლები და ასე უცნობები.

ვიგონებ ჩემი სახის ნაკვთებს და ძალიან მინდა ვგავდე ბებიკოს, თუნდაც ოდნავ.

ახლა მე ბევრი რამ ვიცი, რაზეც წუხს და ფიქრობს ჩემი ბებია, მაგრამ არ ვიცი რას ფიქრობდა მაშინ... დიდი ხნის წინათ, როცა ჩემხელა იყო. ალბათ მაშინ არ იცოდა, რომ სიამაყე, პატიოსნება და სიყვარული მისთვისაც და ჩემთვისაც საერთო უნდა ყოფილიყო.

დავდივართ ახლა მე და ბებია ამ ლამაზ მიწაზე. არ შემიძლია ვიფიქრო, რომ ოდესმე აღარ მეყოლება ის, რადგან მისი მოსვლა ყოველთვის დღესასწაულია ჩვენთვის. მერე ალბათ, აღარაფერი იქნება ლამაზი და აღარასოდეს იქნება დღე — სასწაული, რადგან ბებიკო გულუხვად გვირიგებს იმედს და ადვილად უნარჩუნებს სიამაყეს ყველას, დიდსაც და პატარასაც.

მიყურებს ოდნავ ფერშეცვლილი სურათიდან ჩემი ბებიკო... რატომ მიყურებს ასე სევდიანად? მე ვეცოდები, თუ თავის საval მძიმე გზას გრძნობს წინდაწინ?

ალბათ, ასევე დააკვირდება ჩემი შვილიშვილიც ჩემ ძველ სურათს და ჩაფიქრდება...

გადაუღეთ სურათები ბავშვებს!

**თამთა ცეცაძე,**
**თბილისის პირველი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე.**



## ლადო გუდიაშვილი — „ანანო ყვავილებით“

დიდი ქართველი საბჭოთა მხატვრის ლადო გუდიაშვილის შემოქმედება თანამედროვე ხელოვნების ისტორიის უაღრესად საინტერესო და თავისებური მოვლენაა. იგი გამოირჩევა განუმეორებელი ინდივიდუალობით, მხატვრული და სტილისტური პრინციპების მთლიანობით, ეროვნული თავისთავადობით, ჰუმანიზმით, ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური ზეშთაგონებით.

ლადო გუდიაშვილმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, შემოქმედებითს ასპარეზზე გამოსვლისთანავე, დაიმკვიდრა ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი და მას შემდეგ უკვე რამდენიმე ათეულ წელზე მეტია მისი შემოქმედება ასაზრდოებს ხელოვნების ჭეშმარიტ მოყვარულთ.

გთავაზობთ ლადო გუდიაშვილის სურათს — „ანანო ყვავილებით“.

---

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — „ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ“; ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲖᲔ — ᲚᲐᲓᲝ ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — „ᲐᲜᲐᲜᲝ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ბ. ᲑᲐᲜᲫᲔᲚᲐᲫᲔ, ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ლ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, ნ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ, თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ქ. ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ, პ. ᲣᲚᲔᲜᲢᲘ, ც. ᲢᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔ (მხატ. რედაქტორი), ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ლ. ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ, ნ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ.მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/II-82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/III-82 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.
ტირაჟი 126.100. შეკვ 305. უე 06118.

# სილამაზის საიდუმლოება







ქალის გარეგნულ იერსახეს, კარგად შეკერილი კოსტუმის გარდა, სხვა აუცილებელი კომპონენტებიც ამშვენებს, კერძოდ, — ზომიერი კოსმეტიკა (და არა გრიმი) — ე. ი. პირისახის ვარაყი და თმის ვარცხნილობა.

დროის განმავლობაში ჩაცმულობასთან ერთად იცვლებოდა თმის ვარცხნილობაც და თმის ხელოვნური ფერიც...

როგორც ტანსაცმლის ეფექტიანობაა დამოკიდებული მხატვარ-მოდელიორის და მკერავის შემოქმედებით უნარზე, ასევე მოხდენილი თმის ვარცხნილობა დამოკიდებულია პარიკმახერის ოსტატობაზე.

ოსტატ პარიკმახერის სახელი მოიპოვა ვაუა მხიტარიანმა (იგი მუშაობს „პირიმზეში"), რომელმაც 1978 წ. მოსკოვში; 1979 წ. — პოზნანში (პოლონეთი), 1980 წ. სოფიაში (ბულგარეთი), XVI, XVII, XVIII პარიკმახერებისა და კოსმეტოლოგების საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობისას თავისი თმის ვარცხნილობებით დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც აღინიშნა კიდეც პრემიებით. აქვს მიღებული მრავალი სიგელი და ჯილდო.

ყველა ასაკის ქალი, მითუმეტეს ხანში შესულები — უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით უნდა იცმევდნენ. გვერდს არ უნდა უვლიდნენ სამკურნალო კოსმეტიკასა და თმის ლაზათიანად დავარცხნას. სილამაზე ქალს ყველა ასაკში ესაჭიროება. გარდა ამისა, ხშირად ადამიანის ჩაცმულობა და ვარცხნილობა მის კულტურულ დონეზეც მიგვანიშნებს.

**ნინო გვათუა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76178

ფასი 30 კაპ.